

K 73.121
K 3

სერგი მაკალათია

გრეხობის ციფა




პროფ. სერგი მაკალათია

ბორჯომის ხეობა

ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნაწარები

K 43.121
3



სახელმავალი
თბილისი
1957



ශබුද්ධයානය

83-

1. ඊග්‍යාච්ඡාව සහ මැණ්ඩුල් නිස්ත්‍රීත්‍යාච්ඡාව-යුතුමානුෂීය මිමික්‍රියා	3
2 මාත්‍රේරාගාලුරු කුළුතුරුව දෙපලෝධි	12
3. එරුම්‍යා-සාද්‍යම්‍යාන්තරා	62

ბორჯომის ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

ისტორიულ წარსულში ბორჯომის ხეობა შედიოდა ძველ თორზი, რომელიც მოიცავდა საქმიანდ ვრცელ ტერიტორიას: დღევანდელი გუჯარეთისა და სადგერის ხეობას (შვიდიშვილისა ანუ ბორჯომელას ხეობა), აგრეთვე მტკვრის ხეობის ნაწილს, დაწყებული დვირიდან—ტაშისკარამდე, რომელსაც ეწოდებოდა „ხეობა“¹.

აღმინისტრაციულად თორი შედიოდა მეოთხე სასპასპეტოში, რომელიც იწყებოდა თბილისიდან — ტაშისკარამდე. ვა ხუ შტრის თქმით: „ხოლო არის მეოთხე სასპასპეტო ტფილისიდამ, ვიდრე ტაშის—კარამდე“ (მტკვრის მარჯვენა მხარე).

თორი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით წარმოადგენდა ქართლისა და სამცხის სანაპირო მხარეს, ე. ი. ზემოქართლსა (სამცხისა) და შუაქართლს შორის მოსაზღვრე ტერიტორიას. ეს ზონა ითვლებოდა ქართლისა და სამცხის სანაპირო მხარედ, ხოლო აღმინისტრაციულად—ქართლის ნაწილს შეადგენდა.

საისტორიო წყაროებიდან ცნობილია, რომ უფრო გვიან ხანაში, X—XII საუკუნეებიდან მოკიდებული ქართლ-სამცხის ამ სანაპირო მხარეს თორი ერქვა.

სახელწოდება თორი ამაზე უწინარეს დროშიც არსებობდა. იგი იხსენიება მე-7—8 საუკუნის ანონიმური ავტორის გეოგრაფიაში; რომელიც ეხება საქართველოს ამ მხარეს, სადაც ერთმანეთს ემიჯნება: ჯავახეთი, სამცხე და ე. წ. ზენა-სოფელი (შიდა ქართლი).

უცნობი სომეხი გეოგრაფი აღნიშნავს: „ჯავახეთის ძირობაზე, ჩამოეშვება (მტკვარი) სამცხეში, მოექცევა მტკვარი აღმოსავლეთისაკენ, გავლით ქართლის ზენა-სოფელზე და ჰყოფს მხარეებს: თორი, გოვათის ხევი, ტორნის ხევი, მანგლისის ხეობა“ (გვ. 28, 1881 წ. გამოც.).

¹ ვა ხუ შტრი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1941 წ., გვ. 83—84.

აქედან გარკვევით ჩანს, რომ ქართლ-სამცხის ამ საწაპირო მხარის სახელწოდება ყოფილა თორი და იგი ამ დროს ქვეყნის ნაწილს შეადგენდა.

მისი სახელწოდება თორი მომდინარეობს დაბა თორის სახელიდან, რომელიც ამ მხარის ცენტრი ყოფილა და ამავე სახელწოდებით დღესაც არსებობს ბორჯომის რაიონში.

თორის წყალი რემევია მდინარესაც, რომელსაც შემდეგში გუჯარეთის წყალი დარქმევია. ვახუშტი მას თორისა ანუ გუჯარეთის წყალს უწოდებს.

ამრიგად, სახელწოდება თორი მე-7—9 საუკუნიდან ხმარებაში იყო მე-15 საუკუნემდე, მომდევნო საუკუნეებში კი, როგორც მხარის სახელწოდება, გამოდის ხმარებიდან. ეს სახელი შერჩება მხოლოდ დაბა თორის, რომელიც დღესაც ამ სახელწოდებით არის ცნობილი და წარმოადგენს ძველი თორის ნანგრევს.

თორის ნაცვლად ამ ხეობას შემდეგში ეწოდება სადგერის ხეობა. სახელწოდების ეს შეცვლა გამოუწვევია ამ მხარის ცენტრის დაბა თორიდან სადგერში გადატანას, რაც გვიან პერიოდში მომხდარა.

ქართლისა და მესხეთის ამ სანაპირო მხარის მდებარეობის შესახებ მე-8—9 საუკუნეთა მანძილზე საყურადღებო ცნობებს იძლევა გიორგი მერჩულე იგი მოგვითხრობს, რომ ქართლ-მესხეთის ეს სანაპირო კუთხე, თორის მხარე არაბების შემოსევის გამო განადგურებულა და უდაბნოდ ქცეულა¹.

მხოლოდ მისი განახლება-ალდგენა დაწყებულა მე-9 საუკუნიდან. ახალი შშენებლობის მესვეურნი ყოფილან მე-8—9 საუკუნის დიდი ქართველი მოლვაშის გრიგოლ ხანძთელის მოწაფეები: თევდორე და ქრისტეფორე, რომელთაც ამ მხარეში დაუარსებიათ სავანე—ნეძვი და კვირიკეთი—გრიგოლ ხანძთელის დამარებით.

ამ დროიდან იწყება ამ მხარის ალორძინება და ჩქარი თორი გადაიქცა საქართველოს ერთ-ერთ მოწინავე მხარედ, რომელმაც დიდი როლი ითამაშა საქართველოს სამეფოს თავდაცვის საქმეში, განსაკუთრებით მე-12—14 საუკუნეებში.

თორის მხარეს, როგორც ქართლის სანაპიროს, ჰერინდა დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა საქართველოს სამეფოს სამხრეთი საზღვრის დასაცავიდ, საიდანაც შემოდიოდნენ და თავს

¹ გიორგი მერჩულე—„ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“, პ. ინგოროვას რედაქციით, თბ., 1949 წ., გვ. 76—79.

ესხმოდნენ მას თურქთა სხვადასხვა ტომები. ამის გამო თავის კულტურული საქმეში თორელები შეადგინდნენ მოწინავე რაზმებს და გმეობულება დაც იბრძოდნენ; ამ ფაქტს ვახუ შტიც აღნიშნავს და შეიცვალა რომში თორელებიც დახასიათებულია როგორც „მებრძოლნი ძლიერნი“.

თორიდან იყვნენ სახელოვანი სახელმწიფო მოღვაწეები და დიდი სარდლები, რომლებიც თორელებად იწოდებოდნენ, როგორც მაგალითად, გამრეკელი თორელი მე-12 საუკუნის დიდი პოლიტიკური მოღვაწე და სარდალი, რომელსაც მემატიანე უწოდებს: „დიდსა და სახელგანთქმულსა მოლაშქრესა“.

1187 წელს გამრეკელ თორელს მიეცა ამილახვრობა, შედეგ კი ამირ-სპასალარობა.

თორის გამგებელთა შორის ისხენიება აგრეთვე შალვა თორელი, რომელმაც სახელი გაითქვა გმირობით ბასიანის ომში. აქაური მკვიდრნი იყვნენ სახელმოხვეჭილი სარდლები ზაქარია და ივანე მხარგრძელნი (თორელნი)¹.

ბრძოლის დროს მეფეები პირველად თორელებს მოუწოდებდნენ: „მაშინ უბრძანა (თამარმა) ამირ-სპასალარსა გამრეკელსა, ორთავე მხარგრძელთა და სხუათა თორელთა ზემოთა და ქვემოთა ჭავლა და მიგეგება წინა ქვეყანასა ჯავახეთისასა“².

ამგვარად, თორი მე-12—13 საუკ. გადაიქცა დიდ საერის-თავოდ, რომლის ფარგლებშიაც, გარდა საკუთრივ თორისა, შედიოდა ჯავახეთი და მტკვრის სამხრეთი სანაპირო ქართლისა, თითქმის მთელი ბორჯომის ხეობა, დაწყებული დაცვიდან — ტაშის კარამდე.

თორელები, როგორც ქართლ-სამცხის ამ სანაპირო მხარის მფლობელნი, ისხდნენ დაბა თორში, რომლის მახლობლად იყო მათივე ციხე-სიმაგრე ციხისჯვარი და ამის გამო თორელები ზოგჯერ ციხისჯვარელებადაც იწოდებოდნენ.

თორი-ციხისჯვარზე გადადიოდა მაშინაც და დღესაც გადადის საეპრო და სტრატეგიული თვალსაჩინისით მნიშვნელოვანი ორი გზა: ერთი მტკვრის ხეობით სამცხიდან — ქართლში და მეორე — ცხრაწყაროს ულელტეხილზე, ჯავახეთიდან — ქართლში. ამის გამო თორელების საგამგეოს, როგორც სამხედრო-აღმინისტრაციულ

¹ ს. კაკაბაძე — წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წ. 1, ტფ. 1914 წ. გვ. 58—65; ლ. მუსხელიშვილი, თორელთა გენელოგიის გარკვევის ცდა, საქ. მუხეუმის „მოამბე“, X—B თბ., 1940 წ., გვ. 38—39.

² ქართლის ცხოვრება, ბროსეს გამოცემა, 1849 წ., ნაწ. 1, გვ. 295.

ერთეულს, დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მთელ საქონლების ლომი.

ამასვე მოშობის თავდაცვითი ნაგებობანი ციხე-კოშკების საბაზით, რომელიც დღემდე დაცულია ძველი თორის ტერიტორიაზე მტკურისა და მისი შენაკადების გუჯარეთისა და შავიწყლის (ბორჯომელას) ხეობებში.

ამგვარად, თორელების საგამგეოს—თორი-ციხისჯვარს—ჰქონდა არა მარტო სტრატეგიული და საფურო მნიშვნელობა, არამედ იგი ძლიერი იყო ეკონომიურადაც.

ძველად თორი განთქმული ყოფილა ჭირნახულის დიდი მოსახლიანობით, ციხისჯვარი კი სახოვრებითა და ტყით. მაგრამ ისტორიულ წარსულში თორის უმთავრესი დანიშნულება იყო საქართველოს სამხრეთი საზღვრის დაცვა მტრის შემოსევებისაგან, მტერი შეექავებინა და არ გადმოეშვა შუაქართლში, საქართველოს სამეფოს პოლიტიკურ-ეკონომიური ცენტრში.

ამის გამო თორელების პირად ვაჟკაცობასთან საკირო იყო ამ სანაპირო მხარის თავდაცვითი ნაგებობებით,—ციხე-კოშკებით გამაგრება, რომელთა ნაშთებს დღემდის მრავლად მოუღევია. მათი შესწავლა და განლაგება ნათელ სურათს იძლევა მათს სტრატეგიულ დანიშნულებაზე.

მტერი სამხრეთიდან შემოდიოდა მტკურის ხეობით, მას პირველად სამცხისა და თორის საზღვარზე გზას ულობავდა აწყურის ციხე, შემდეგ მტკურის ხეობის ციხეები: სლესისა, პეტრესი და სალის ციხეები, რომლებიც განლაგებული იყო ძველ ნუას (დღევანდელ ბორჯომის) ტერიტორიაზე; ამ სიმაგრეებს ჰქონდათ დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა. აქედან შიდა ქართლისაკენ გადიოდა გზა სამი მიმართულებით: პირველი—ახალდაბა—ქვიშხეთ-ხაშური; მეორე—თორის ანუ გუჯარეთის ხეობით—ნუა-უზნარიანი—ყერზენი—ალეში—ხაშური; მესამე—უზნარიანი — ცამალა—თოთხამი — აბუხალო — თეძამი — ორთუბანი—ზღუდერი — სამწევრისი — აგარა.

სამივე მიმართულებით განლაგებული იყო ციხეები; მტკურის ხეობაში: ახალდაბის ციხე, ქვიშხეთის ციხე, სურამის ციხე, სამწევრისის ციხე და გორის ციხე.

თორის (გუჯარეთის) ხეობით: უზნარიანის ციხე, ყერზენის ციხე—ალეშის ციხე—სამწევრისის ციხე—გორის ციხე.

გუჯარეთ—ძამის ხეობით: უზნარიანის ციხე—თოთხამის ციხე—ძამის ციხე, ორთუბნის (მზორეთის) ციხე—სამწევრისის ციხე—გორის ციხე.

ამგვარად, სამივე ხეობის ციხე-სიმაგრენი იცავდნენ სამხრეთი თიდან შუა ქართლისაკენ მიმავალ გზებს, რომლებიც ერთდაშტატებული ჟიდა ქართლის ცენტრში,—გორთან, საღაც იყო გორის დიდი ციხე, რომელიც დარაჯობდა და იცავდა დედაქალაქ თბილისს სამხრეთით შემოჭრილ მტრისაგან.

საშუალო საუკუნეებში თორის მხარე შეიძროდ ყოფილა და სახლებული. მართალია, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მე-8 საუკ. არაბთა შემოსევის გამო ეს მხარე განადგურებულა, მაგრამ მე-9 საუკუნიდან, დიდ სამონასტრო მოძრაობასთან დაკავშირებით, იგი თანდათანობით კვლავ მოშენებულა.

მე-12—13 საუკუნეებში, თორის მხარე, როგორც ვიცით, გადაიქცა საქართველოს ერთ-ერთ მოწინავე მხარედ. ამას მოწმობს ამ მხარეში დღემდე შემონახული მრავალი ნასოფლარი, რომელთა შორის აღსანიშნავია: თოთხამი, ლინტური, ვარდევანი, თორი, ციხისჯვარი, ტაძრისი და სხვა. ამ ნასოფლარებში დარჩენილია დიდი ლოდებით მშრალად ნაგები ბინები, რომლებიც მნახველზე ციკლოპურ ნაგებობათა შთაბეჭდილებას ახდენენ.

აქვეა მე-9—10 საუკ. მონასტრების: ნეძვისა, საკვირიკესი, ტაძრისისა, ლიკანისა და სხვა ნანგრევები.

ამათ გარდა აქ დაცულ ისტორიულ ძეგლებში შესანიშნავია დაბის დარბაზული ტიპის ეკლესია, რომელიც აგებულია 1333 წელს გიორგი მე-V ბრწყინვალის მეფობის დროს.

მეორე საყურადღებო ძეგლია ტიმოთისუბნის ანუ, როგორც მას ვახუშტი უწოდებს, კიმოთისმანის მონასტერი, რომელსაც ქართულ ხელოვნებათ მცოდნენი მიაკუთვნებენ მე-12—13 საუკ.

დასახელებული ძეგლების მიხედვით ძეგლი თორი მე-9—13 საუკ. მჭიდროდ ყოფილა დასახლებული და კულტურულ-ეკონომიურადაც განვითარების შესამჩნევ სიმაღლეზე მდგარა. მონალლთა ბატონობის პერიოდში, მე-13—14 საუკ., თორი დაადგა დაცუმა-დაკინების გზას, მონალლ-თათართა ურდოები მას არმევდნენ და დიდი ხარკიანობის გამო იგი განიცდიდა ეკონომიურ სიდურეებს. მართალია, თორელები გმირულ წინააღმდეგობას უწევდნენ მონალლებს, მაგრამ რაკი ბრძოლის გაგრძელება შეუძლებელი იყო, რუსუდან დედოფლის თანხმობით ითანე—ყვარყვარე ჯაყელ-ციხისჯვარელმაც საქმე მორიგებით გაათავა¹.

¹ ი. ვ. ჯავახი შვილი—ქართველი ერის ისტორია, წ. III, თბ., 1941 წ., გვ. 22.

მონლოლთა ბატონობას თორელები ვერ ურიგდებოდნენ¹ და
ადგილი ჰქონდა მათ წინააღმდეგ აჯანყებას. აჯანყების შედეგებით
თორისათვის მეტად მძიმე იყო. მონლოლები შურისძიების შინაგანი
20 დღე არბევდნენ სამცხეს და თორს, თუმცა მისი მთავარი ცენტ-
რის—ციხისჯვრის აღება მაინც ვერ შესძლეს.

მე-15 საუკუნიდან თორის ხეობა და თორელები კარგავენ
წინადელ მნიშვნელობასა და სახელს. თორის ნაწილი, სახელდობრ
გუჯარეთის ხეობა, მე-15 საუკუნიდან გადადის ციციშვილების
მფლობელობაში. ამ საგვარეულოდან, როგორც ცნობილია, გორ-
გი VIII დროს (1446—1476 წწ.) დაწინაურდა ზაზა ფანასკერ-
ტელი. იგი შეელოდა მეფეს სამცხის ათაბაგ ყვარყვარესთან ბრძო-
ლაში, მაგრამ ამ ბრძოლაში ზაზა დამარცხდა და იგი იძულებული
გახდა 1465 წელს გადმოსახლებულიყო შიდა ქართლში². მეფის
ერთგული სამსახურისთვის ზაზას ჯერ ძამას ხეობა მიუღია, შემ-
დეგში-კი მათივე ხელში გადასულა გუჯარეთის ხეობაც.

ვა ხუ შტი ს გუჯარეთის ხეობა მოთავსებული აქვს საციცი-
ანოში³.

მე-16 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში თურქებმა სამცხის
აღების შემდეგ თორის მხარეც დაიჭირეს. როგორც გურჯისტანის
ვილაიეთის დიდი დაეთარიდან იჩკვევა, 1595 წლისათვის, ე. ი.
თურქეთის მფლობელობის დამყარების პირველ ათეულ წლებშივე
თორის მხარის მოსახლეობა მთლიანად აყრილა, დაახლოებით 42
სოფელი და შიდა ქართლში გადასახლებულა, ხოლო დანარჩენი
სოფლების მოსახლეობა საგრძნობლად შემცირებულა, განსაკუთ-
რებით კი პეტრეს ლიკაში, დლევანდელი ბორჯომის ხეობაში, მო-
სახლეობა მთლიანად აყრილა და შიდა ქართლში გადასახლებულა⁴.

თურქებმა მთელი ეს მხარე დაიჭირეს მტკვრის ხეობის მი-
მართულებით ახალდაბა—ტაშისკარამდე, გუჯარეთის ხეობით კი—
დაბა—წალვერი—მიტარბამდე და ძამას ხეობით მზორეთ—ზღუდე-
რამდე.

მე-17 საუკუნეში ქართველებმა შეძლეს თურქებისაგან განე-
თავისუფლებინათ თორის მხარის ნაწილი სოფ. დეირამდე. მაგრამ
თურქები, რომლებიც გამაგრებული იყვნენ ახალციხის მხარეში,

¹ ქართლის ცხოვრება, ჩუბ. გამოცემა, ნაწ. 11, 1854 წ., გვ. 154.

² ვა ხუ შტი, საქარ. გეოგრაფია, 1841 წ., გვ. 58.

³ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაეთარი, გამოც. ს. ჯიჭიას რედაქციით,
წ. II, თბ., 1941 წ., გვ. 93—108, 331—332.

მაინც გამუდმებულ თარეშს აწარმოებდნენ თორჩე. თურქები რის აოხრებაში იშველიებდნენ დალისტანის აბრაგებსაც¹. გადმოლახეს კიხისჯვარი და მოადგნენ სადგერის ციხეს, სადაც იდგნენ 11 დღე. ვაჟუშტის ცნობით: „შემოდგა ურუმი ჯარი (1734) სადგერსა, გადმოვიდნენ ავალიშვილები და გააქციეს ურუმი და მოწყვიტეს“.

ამ ხეობის თურქ-ლეკებისაგან დაცვის მიზნით მეტე თეიმულაზ II-მაც იგი დაუმტკიცა თავიდ ავალიშვილებს, რომლებმაც თავიანთ რეზიდენციად სადგერი გაიხადეს, სადაც საქმაოდ მაგარი ციხე ჰქონდათ. მაგრამ ავალიშვილებმა მაინც ვერ შეძლეს ლეკებისა და თურქების წინააღმდეგ გამკლავება და თავიანთ გლეხებით შიდა ქართლში გადასახლდნენ.

ამ პერიოდში თურქეთ-საქართველოს შორის სასაზღვრო ზონა იყო ტაშისკარი, რომელიც წარმოადგენდა ძნელ გასასვლელ ვიწრო კარს. ამას მარცხნივ აკრავდა მაღალი კლდე, მარჯვნივ ჩაუდიოდა მტკვარი, შუაში გადიოდა ვიწრო გზა. კლდეზე იდგა მაღალი კოშკი, რომელიც იცავდა ამ ვიწრო გასასვლელს. აქვე ყოფილი გამართული საბაჟოც, ამ საბაჟოში გადიოდა თურქეთიდან ან თურქეთის გზით სხვა ქვეყნებიდან აღმოსავლეთ საქართველოში შემოზიდული საქონელი და პირიქით.

ეს საბაჟო, როგორც „ტაშისკარის ბაჟის ნუსხიდან“ ჩანს ქართლის მეფებს გადაუციათ აბაშიძეებისათვის, რასაც მოწმობს აბაშიძის მიერ ნახუცრიშვილისადმი გაგზავნილი ერთი საბუთი. იქ აღნიშნულია: „ქ. აბაშიძის პაატას და აბაშიძის ნიკოლაოზის ლვთის წყალობავ და მამის მსგავსად პატივცემულო ჩვენგან ბატონი ბეჭან ნახუცრიშვილო! მერმე როგორც კუროხეულის ბატონის მამი ჩვენისაგან გებარა ტაშისკარის კოშკი და ბაჟი, ისე ჩვენ მოგვიბარებია. ნუსხაც იმის ბრძანებაზე მოვიცია, რომ ასრე აიღვ ბაჟი, ხითრს ნურავის შეუნახავ, ლვთის წინაშე ამ განშესხებულზე მეტს ნუ აიღებ, ათის თავი, რაც მოვგივიდეს, შენთვის წყალობა გვიქნია. ეს ორი კაცი ჩვენი დააყენე. ამათ ანგარიშს შენ გამოართმევდე, ჩვენსას ჩვენ მოვგართმევდე და შენს სათაოს შენ აიღებდე და ჩვენ ანგარიშს შენ მოვცემდე.“

¹ ქართულად დალისტან ძველიდანვე „ლეკეთი“ ერქვა, ამიტომ იქიდან რასმებად საქართველოში შემოსულ აბრაგებსაც ყველას განურჩევლად „ლეკებს“ უწოდებდნენ. ასეთივე მნიშვნელობით ჩვენ აქ ეხმარობთ „ლეკობა“—ს (აბრაგების მნიშვნელობით).

სალამით (ფულადი საჩუქარი), რაც სამართალი იყოს, აიღონ ამ ბიჭებმა, მეტს ნუ აიღება".

ალიშერი მარტის დამდეგს ქვნ უმა (= 1754 წ.)¹.

ლეკ-აბრაგების თარეში ამ მხარეში არ შეწყვეტილა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც.

ამის გამო რუსეთის მთავრობა იძულებული იყო ტაშისკარი გაემაგრებინა და აქ შეექმნა ე. წ. „ბორჯომის ბლოკგაუზი“, სადაც იდგა ქართული მილიცია და რუსის ჯარის ნაწილები ლეგიბის თავდასხმისაგან ქართლის დასაცავად.

1828—1829 წელს რუსეთ-თურქეთის ბრძოლაში, თურქეთი დამარცხდა და 1829 წლის აღრიანოპოლის ზავის თანახმად რუსეთმა მიიღო ახალციხის საფაშო. ამგვარად, რუსეთმა საქართველოს შემოუერთა თურქეთის მიერ მე-16 საუკუნიდან მიტაცებული სამხრეთ საქართველოს ეს მნიშვნელოვანი მხარე.

თურქეთის ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ იწყება ძველი თორის ისტორიის ახალი ხანა. მას გამოეცვალა ძველი სახელი და ეწოდა „ბორჯომის ხეობა“. მისი აღმინისტრაციულ და კულტურულ ცენტრად გადაიქცა ქალაქი ბორჯომი.

ცნობილია, რომ დღევანდელი ბორჯომის ადგილას ძველად იყო სოფ. ნუა, რომელიც მოხსენებულია გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში, როგორც ცარიელი (გვ. 328). ვახუშტი საც ნუა ამავე ადგილას აქვს აღნიშნული თავის რუკაზე. რაც შეეხება მის აწინდელ სახელწოდებას—ბორჯომი, დღემდე ეგონათ, რომ ეს ვითომც უცნობი სახელი მას რუსებმა დაარქვესო. ეს მოხაზრება, რასაკეირველია, მცდარია. ბორჯომი ძველი ქართული სახელია და ასეთი სახელის მატარებელი სოფელი და ხეობა აქ ძველადაც არსებობდა, სახელდობრ ახალციხის წყლის მარჯვენა მხარეზე, სადაც ბორჯომის ხევი უერთდებოდა ახალციხის წყალს.

ეს სოფელი ბორჯომი შეტანილია გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში, როგორც დასახლებული ადგილი, სადაც აღნუსხულია რამდენიმე კომლიც; „9. ჭავარაქის რაიონი ხენებულ ლივაში. სოფ. ბორჯომი ჯამი, 1200. (გვ. 12).

შემდეგში, თურქების ბატონობის შედევად ეს სოფელი ბორჯომი დაცარიელებულა და ვახუშტიც მას არ იხსენიებს სოფლების ნუსხაში. მხოლოდ მის მიერ შედგენილ რუკაზე აღნიშნულია ბორჯომის ხევი და დასახელებულია პუნქტი—ბორჯომი.

¹ ო. სოსელია, „ტაშის-კარის ბაჟის ნუსხა“. მასალები საქარ. და კავკასიის ისტორიისათვის. თბ., 1951 წ., ნარკვევი 29, გვ. 57—59.

მისივე აღწერით: „ოლდამის ხევის ზეით, ახალციხეს ურიგებთან ბორჯომის ხევი, მისივე მთის გამომდინარე და მომზადება ნარე ეგრეთვე. აქა არს ახალციხე ქალაქი“-ო (გვ. 125). ამგვარად, ირკვევა, რომ ბორჯომი მდებარეობდა სოფელ ახალციხესთან და თურქების ბატონობის დროს იგი მცირე სოფელი ყოფილა.

აკად. გილდენშტერს მტკვრის ხეობის აღწერისას (1770—73 წ.) დასახელებული აქვს „ბორგამი“ (იგივე ბორჯომი)¹.

იგი მტკვრის მიმართულებას ასე აღწერს: „Ныне же тече она от вершины своей, в целом в северовосточном своем направлении, мимо Ахалдаба и Боргами, в верхней Картвели, покоренной турками и отторгнутой от Грузии“².

ახალდაბა და ბორჯომი დასახელებულია აკად. გილდენშტერის მიერ, როგორც გარკვეული სასაზღვრო მნიშვნელობის პუნქტი ზემოქართლისა, რომელიც თურქების მიერ იყო დაპყრობილი.

ამასთანავე ისიც ცნობილია, რომ მტკვრის დინების ამ ნაწილს ბორჯომიდან (ახალციხესთან) ახალდაბამდე ეწოდება „ხეობა“. ვა ხუშტისაც ასე აქვს იგი აღნიშნული თავის გეოგრაფიულ რუკაზე.

ამასვე მოწმობს ავალიშვილების მოხსენება ვორონცოვისადმი 1851 წ. 12 ივნისს. ავალიშვილები ამ ხეობის მფლობელობაში ედავებოდნენ ხაზინას და წერდნენ, რომ მეფეთა ნაბოძარია მათი მტკვრის ხეობა, რომელსაც ახლა უწოდებენ „ბორჯომის უშჩელიერ“-ო (ხეობად).

ერთი სიტყვით, ახალციხესთან მდებარე ბორჯომის ხევს ჰქონდა გარკვეული სტრატეგიული მნიშვნელობა და როდესაც 1829 წლიდან მთელი მხარე ე. წ. „ხეობა“ გადავიდა რუსეთის მფლობელობაში, რუსეთის სამხედრო უწყებამ ამ უსახელო „ხეობა“-ს უწოდა „ბორჯომის ხეობა“. ამგვარად, 1830 წლიდან ყოფილი ოორის ხეობას ეწოდა ბორჯომის ხეობა.

1830 წლიდან დაიწყო ამ უკაცრიელი ხეობის დასახლება. ბორჯომის ხეობის ერთ ნაწილს დაეუფლა ხაზინა, მეორეს კი მისი ძეველი მფლობელები, ავალიშვილები. ხაზინამ დაისაკუთრა მტკვრის ხეობის მარჯვენა მხარე, დაწყებული რეილიდან დეირამდე, ავა-

¹ იგი იყო გერმანელი მეცნიერი და წერდა გერმანულად, რომელშიც „კ“ იწერება „გ“-დ.

² Акад. И. А. Гильденштет, Географ. и статистическое описание Гурзини и Кавказа в 1770—73 г. СПБ, 1809 г. гл. 156.

ლიშვილებმა კი მტკვრის მარცხენა მხარე, დაწყებული ახალგაზი
დან—ქვაბისხევამდე.

ავალიშვილებმა თავიანთ ამ ნაწილში ქართლიდან ჰერციგოვინის
სახლეს ყმა-გლეხები.

სახაზინო ნაწილში კი მეფის მთავრობამ გადმოასახლა პოლ-
ტავის გუბერნიის უკრაინელები, რომლებიც დასახლდნენ: დაბაში,
ჭალვერში, ბაკურიანსა და თორში.

1832 წლიდან ავალიშვილები ხაზინას ედავებოდნენ ბორჯო-
მის მამულს. დავა გაჭიანურდა 1852 წლამდე და დამთავრდა
ხაზინის სასარგებროლ. ავალიშვილებმა ბორჯომის ხეობა მთლია-
ნად ხაზინას გადასცეს და საფასურად მიიღეს 5000 მანეთი ყოველ-
წლიური პენსიის სახით.

მატერიალური კულტურის ძეგლები

ბორჯომის ხეობა, როგორც აღვნიშნეთ, შედგება სამი შენა-
კადისაგან. ესენია: გუჯარეთის და შავი წყლის (ბორჯომელა) ხეო-
ბები და მტკვრისა, სოფ. დეირიდან—ტაშისკარამდე.

ამის მიხედვით მატერიალური კულტურის ძეგლების მიმო-
ზილვას ვიწყებთ გუჯარეთიდან, შემდეგ გადავდივართ შავიწყლისა
(სადგერის) და მტკვრის (ბორჯომის) ხეობაზე.

გუჯარეთის წყალი გამოდის ქვარებიდან და მტკვარს შეერ-
თვის ბორჯომის სადგურთან (ჩარხისწყალი).

ვახუშტი ბაგრატიონის აღწერით: „ქვარების დასავ-
ლით და მძორეთის სამხრით არს მდინარე და ხეობა თორისა,
რომელი გამოდის ქვარებსა და ამის შუას მთასა და მიდის და-
სავლით, მერმე მომრგვალდების ჩრდილოთ სადგერს ზეით და მი-
ერთვის მტკვარს სამხრიდამ, და აწ გაყოფილ არს სადგერად და
გუჯარეთად“—ო. (გვ. 59).

აქაური სოფლები მთის კალთებზეა შეფენილი, მოსახლეობა
შეჯგუფებულია. ბევრია ძეველი, ნასოფლარი ადგილები. ეტყობა
ძეველი, ძირითადი მოსახლეობა აქედან მთლად აყრილა და სხვა
პროვინციებში გადასახლებულა. საქართველოს ოუსეთთან შეერთე-
ბის შემდეგ კი გუჯარეთის ხეობის მებატონე ციციშვილებს აქ
გადმოესახლებიათ ოსები, რომლებიც დღესაც ცხოვრობენ.

საყურადღებოა, რომ აქაური სოფლების მხოლოდ მცირე ნა-
წილს შეუნარჩუნებია ძეველი სახელწოდება.

გუჯარეთის სოფლების ძეველი ნუსხა ვახუშტის მიხედვით:

1. ბაგინეთი, 2. გულსუნდა, 3. გუჯარეთი, 4. ედოთი, 5. ჭავათუბანი, 6. ჩრდილის-უბანი, 7. სხალნარა, 8. მომწვარა მარტინები, 9. ბიელა, 10. გომარეთი, 11. წყაროს-უბანი, 12. მიტარბი, 13. ლინტური, 14. მეკოური, 15. რუისი, 16. ლელისუბანი.

დღევანდელი სოფლები:

1. წითელისოფელი, 2. მაჭარწყალი, 3. გუჯარეთი, 4. ოდეთი, 5. თონეთი, 6. წინუბანი, 7. ვარდევანი, 8. აიდაროვი. 9. მზეთამზეა, 10. ტიმოთისუბანი, 11. გვერდისუბანი, 12. მიტარბი, 13. ლინტური.

წარსულში გუჯარეთის ხეობა მცირდოდ ყოფილა დასახლებული, ამას მოწმობენ აქაურ ნასოფლართა ნანგრევები. ვა ხუშტიც აღნიშნავს, რომ „გომარეთს ზეით ჯვარებამდე არს ხეობა გუჯარეთისა, ყოფილ არიან მრავალნი შენობანი და ეკლესიანი, გარნა აწ შემუსვრილნი“. (გვ. 59).

ჩვენ აქ არ შეუდგებით ყველა სოფლისა და მათს მიღამოებში დაცული მატერიალური კულტურის ძეგლების აღწერას, აღვნიშნავთ მხოლოდ ისეთებს, რომლებშიც შედარებით მნიშვნელოვანი ძეგლებია შემონახული და რომლებთანაც დაკავშირებულია სხვადასხვა თქმულებები და გადმოცემები.

გუჯარეთი. აბუხალოდან (ძამას ხეობა) გზა გადადის გუჯარეთის ხეობაში. ამას ვა ხუშტიც აღნიშნავს: „აბუხალოს დასავლით გადავალს გზა გუჯარეთს“.-ო.

ამ ორ სოფელს აბუხალოსა და გუჯარეთს ყოფს მაღალჯვრის (ოსურად „ბარზონდ-ძუარ“-ის) ხეობა. აბუხალოდან გუჯარეთამდე დაახლოებით 15 კილომეტრია.

გუჯარეთს ჩამოუდის გუჯარეთის წყალი. სოფელი საკმაოდ მოზრდილია.

ციხე-კოშკების ნაშთები არ შემონახულა. სოფლის თავზე ძველი ეკლესიის ნანგრევია — „ლვთისმშობელი“, დარჩენილია მხოლოდ მისი საძირკველი, კლდის დიდი ლოდებით ნაგები.

სოფლის ბოლოს არის მეორე დარბაზული ტიპის ეკლესია, რომელსაც უწოდებენ „წმ. ნიკოლოზს“. იგი ნაგებია კლდის ქვით და ქვაფიქალით ყოფილა გადახურული. წარწერები და ორნამენტები არა აქვს. ეკლესიას ოდესლაც გალავანი ჰქონია შემოვლებული. აქვეა ძველი ნასოფლარიც.

ამ ეკლესიის გალმა, გუჯარეთის წყლის მარცხენა მხარეს, მთის ფერდობზე არის ნასოფლარი, რომელსაც ისები უწოდებენ „ქერდოჯნს“, რაც ნიშნავს მსხალნარს. ეს უნდა იყოს ვახუშტიც მიერ დასახელებული ძველი სოფელი მსხალნარი.

აქ ბევრია გარეული მსხალი (პანტა) და სახელწოდებაც ზრასთან
უნდა იყოს დაკავშირებული.

გუჯარეთის ჩრდილოეთით, აბუხალოსაკენ არის მაღალი მწვერ-
ვალი, რომელსაც უწოდებენ „მაღალ ჯვარს“. იგი გუჯარეთი-
დან დაშორებულია 8 კილომეტრით და ძნელი ასასვლელია. ამ
მწვერევალიდან კარგად მოჩანს შიდა ქართლის ვაკე.

ეს უნდა იყოს ვახუშტის მიერ აღნიშნული ციხე თოთხა-
მი: „არს გუჯარეთის ჩრდილოთ, მაღალს მთის თხემსა ზედა, ციხე
თოთხამი, მცვერეტელი ქართლ-იმერეთისა. ამის ქვეით არს
ციხე, მომწვარას, და ეკლესია მცირე, და შენობანი დიდნი“-ო.
(გვ. 59).

თოთხამი იმავე ადგილს აღნიშნულია მისივე რუკაზედაც.

მთის მწვერვალზე ნაგებობათა ნანგრევია, რომელთა შორის
ყურადღებას იქცევს ძველი ეკლესია ე. წ. „ლვთისმშობელი“. ეკლე-
სია დანგრეულია გორის მიწისძვრის დროს 1920 წ. იგი ნაგებია
ქვიტკირით. სამხრეთის მხარეზე ეკლესიის კედელი გამაგრებულია
დამატებითი კედლით. შიგ შელესილი ყოფილა. სახურავი ქვაფი-
ქალის ჰქონია. ზოგან შემორჩენილი აქვს ასომთავრული წარწერე-
ბის ფრაგმენტები.

ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით ციციშვილებს ამ
ეკლესიის კედლიდან ამოუღიათ წარწერიანი დიდი ქვა და გადა-
უგდიათ. ამ ქვაზე წერებულაო, რომ ეს ეკლესია და მისი მიდამო
იყო უბატონო, ე. ი. არ კუთვნებია ციციშვილებსო. ეკლესია შე-
მოზღუდული ყოფილა ქვიტკირის გალავნით და ციხე-კოშკით გა-
მაგრებული.

მისი ჩრდილო მხარეზე ოთახების ნანგრევია, კარგად მოს-
ჩანს მათი საძირკველი და კედლების ნაშილი. ერთი შენობა სამ-
ოთახიანია. ზოგი დარბაზი მოცულობით საკმაოდ ვრცელია და
დიდი ლოდებითაა ნაგები.

მნახველზე გაოცებას იწვევს ასეთ მაღალ მწვერვალზე ამოდენა
ლოდების ამოზიდვა და საკმაოდ ვრცელი დარბაზებისა, ეკლესიისა
და ციხე-გალავნის აშენება.

ეს მაღალვარი გუჯარეთის ხეობაში მთავარი სალოცავი
ყოფილა და აქ დიდი ხატონა იმართებოდა.

ხატონას ცხენებით ერ ამოდიოდნენ, რაღანაც ივი დაფა-
რულია დეკათი და ალბიურ მდელოთი. აქ არც წყაროა. ეტყობა
წყალს ინახავდნენ ქვივრებში, რომლებიც ახლაც არის მიწაში
ჩაფლული.

მაღალჯვრის ქვემოდ, წყლის ნაპირას ნასოფლარია, სახლები ჩაქცეულია. სახლები ყოფილა დიდი ლოდებით ნაგები ჭირულობის, ვებენ ციკლოპურ ნაგებობათა შთაბეჭდილებას. წყლის გაღმა ყოფილ ეკლესია და კოშკიც, ამეამად ორივე დაშლილია. შეიძლება ეს იყოს ვახუშტის მიერ თოთხამის მახლობლად აღნიშნული სოფ. ბაგინეთი.

გუჯარეთის აღმოსავლეთით, სამი კილომეტრის დაშორებით, წითელჯვრის ხევის ნაპირას არის ძეველი ეკლესია, რომელსაც უწოდებენ „წითელ ჯვარს“. ეკლესია დაშლილია, დარჩენილია მისი დასავლეთის კედელი და საკურთხევლის ნაწილი. ეკლესია კარგად არის ნაგები, შიგა და გარეთაც მოპირკეთებულია თლილი წითელი ქვით. ეკლესია შიგ შელესილია, მხოლოდ მოხატულობის კვალი არ ემჩნევა. კედლებზე შერჩენილია ასომთავრული წარწერების ფრაგმენტები.

ჩრდილოეთის მხარეზე, საკურთხევლის კედლის კუთხეში ჩარანებულია ასომთავრული წარწერიანი ქვა მშენებელისა:

„ქრისტე, შეიწყალე მხარგრძელი ამის ტეხან-კსა მაშენებელი.“

ეკლესია ძეველია, წარწერის მიხედვით იგი აუშენებია მხარგრძელს. ეს გვარი ცნობილია საქართველოს ისტორიაში მე-12—13 საუკ. ამ გვარის მფლობელობაში შედიოდა ეს მხარეც. ამის მიხედვით წითელჯვრის ეკლესიაც უნდა იყოს აშენებული მე-12—13 საუკუნეში.

ეკლესიას გარს შემოვლებული ჰქონია ქვიტკირის გალავანი. ძველი საფლავის ქვებიდან საყურადღებოა ეკლესიის აღმოსავლეთით, საკურთხევლის მხარეზე დაცული ერთი საფლავის ქვა, რომელიც წარმოადგენს შეკაზმული ცხენის ქანდაკებას. ეკლესიის მახლობლად ძველი ნასოფლარია.

ოდეთი მდებარეობს გუჯარეთ-წალვერის გზის მახლობლად მთის ფერდობზე. ძველი ოდეთი კი მოთავსებულია სოფლის ზემო, სადაც ძველ ნაგებობათა ნანგრევებია.

ძველ ნასოფლარზე გარკვევით მოჩანს საცხოვრებელი ბინების საძირკველი, ეტყობა სახლები დარბაზული ტიპისა ყოფილა. ზემო მაღლობის დავაკებაზე არის ეკლესიის ნანგრევი, ე. წ. „ღვთის-მშობლის ხატი“, მის გვერდით ყოფილა ციხე-კოშკი, დარჩენილია მისი ქვედა ნაწილი. იგი ნაგებია კლდის დიდი ლოდებით და შედგება ორი განყოფილებისაგან: ერთია ოთხკუთხედი ოთახი, მეორე კი კოშკისებური მომრგვალებული ნაგებობა. გარედან აქვს

ერთი შესასვლელი კარი, შიგნითა კარი შედის კოშკურ ოთახში
ესეც ქვიტკირის გალავნით ყოფილა შემოზღუდული.

ღინტური მდებარეობს გუჯარეთის წყლის მარცხეულობისა
რეზე. ლინტური ორია—ღიდი და პატარა ლინტური. პატარა ლინ-
ტურს ახლაც ლინტურს ეძახიან, დიდ ლინტურს კი—დიდ თო-
ნეთს.

პატარა ლინტურის სოფლის თავზე დარჩენილია ძველი ნა-
სოფლარი, აქვეა უკვე დაშლილი ძველი ექლესიაც. იგი ნაგებია
კლდის ქვით, შიგ და გარეთ მოპირკეთებულია თლილი ქვით.

აქედან სამი კილომეტრის დაშორებით დიდი თონეთია—
ძველად დიდი ლინტური. სოფლის თავში დაცულია დიდი ლინტუ-
რის ნასოფლარი, რომელსაც ჩამოუდის ლრმა ხევი, ე. წ. „სახდე-
ლის ხევი“, რომელიც მას ყოფს დიდი თონეთისაგან.

აქ მოზრდილი სოფელი ყოფილა. სახლები ნაგებია დიდი
ლოდებისაგან, მშრალად. ისინი ციკლოპურ ნაგებობათა შთაბეჭდი-
ლებას სტოკებენ, თითქმის კველა დარბაზული ტიპისაა, ბანიანია
და შემცირდობული. ზოგი დარბაზის სიგრძე უდრის 9 მეტრს, კე-
დელი ნახევრად მიწაშია, აქვთ ერთი კარი, გვერდით მოთავსებუ-
ლია ორმო (ბელელი).

ამ ნასოფლარში, ხევის პირას არის ძველი ექლესია, რომე-
ლიც ქვაფიქალით არის დახურული. ექლესია ლოდებით ნაგებია,
კედელი შეგნით შელესილია და ეტყობა მოხატულიც ყოფილა,
მაგრამ ეგ მხატვრობა იმდენად განადგურებულა, რომ მხოლოდ
კარის მარჯვენა მხარეზეა დაცული სინგურის სალებავით შესრუ-
ლებული რომელლაც ფრინველის სქემატური გამოსახულება. ექლე-
სიის დასავლეთის სარკმელზე გარედან გამოსახულია ჯვარი. ექლე-
სია ერთნავიანია.

ექლესიის დასავლეთ კედელთან დევს დიდი მრგვალი ქვა,
რომელსაც ხმარობენ ზეთის გამოსახდელად. ეტყობა აქაური ქარ-
თული მოსახლეობა ზეთსა ხდიდა სელისაგან და ამ ხეობასაც ამის
გამო დარქმევია „სახდელის ხევი“.

ამ ნასოფლარის გადაღმა სოფ. დიდ თონეთში დაცულია
ძველი ექლესიის ნანგრევი, რომელსაც უწოდებენ „ღვთისმშობელს“.
ექლესიას ჰქონია ქვის კანკელი, რისგან დარჩენილია მხოლოდ
მოზრდილი ქვაფიქალი, რომელიც იქვე მიწაშია ჩაფლული. ამ
ქვაზე გამოსახულია ჩუქურთმიანი ჯვარი, რომელიც უჭირავს ორ
მამაკაცს, ერთს აწერია ხუცურად გრ (გრიგოლ), მეორეს თუ
(თევდორე). გარშემო აქვს ვრცელი ნუსხახუცური წარწერა. გა-
მოსახულებათა კომპოზიციური შესრულებისა და წარწერის პა-



სურ. 1. კანკელის ქვაფიქალი.

ლეოგრატიული ნიშნის მიხედვით იგი მიეკუთვნება მე-16—17 საუკუნეს.

აიდაროვი. ამ სოფელს რქმევია „ლვთისმშობელი“, შემდეგ უწოდებიათ აიდაროვი¹. მას ჩამოუდის ყავრისხევი, რომელიც უერთდება გუჯარეთის წყალს. გზის პირას ჩანს დანგრეული ტაძრის კედლები. იგი ნაგები ყოფილა ქვიტკირით და მოპირკე-

¹ აიდაროვი იყო ოსი რევოლუციონერი, რომელიც ამ სოფლის მახლობლად მოუკლავთ კონტრრევოლუციონერებს.

2. სერგი მაკალათია.

თებული თლილი ქვით, შიგადაშიგ ურევია წითელი ქვაც. შეინიშნეს შელესილია და მოხატულიც ყოფილა. ჰქონია ჩუქურთმებიც და ლის ფრაგმენტებია დარჩენილი. ეს ეკლესია, რომელიც გადასახლდა ნაგებია, დარბაზული ტიპისაა და აშენებული უნდა იყოს მე-12—13 საუკუნეში.

ხალხის გაღმოცემით ამ ეკლესიას ჰქონია წარწერიანი ქვა, რომელზედაც წერებულა, რომ აქაურ მოსახლეობას არაფერი არ გადახდება (შეიძლება მთელი სოფელი საეკლესიო იყო). ოსებიც აქ დასახლებულან მებატონე ციციშვილის დაუკითხავად და ამ წარწერის მიხედვით თურმე არაფერს არ იხდიდნენ. ამაზე ციციშვილი გაბრაზებულა, ეს წარწერიანი ქვა ამოულია და ხრამში გადაუგდია, ოსებისათვის კი „მახტა“ მოუთხოვია. ეკლესიას ქვიტკირის გალავანი ჰქონია შემოვლებული.

სოფელში ძველად წყაროს წყალი ყოფილა გამოყვანილი თიხის მილებით; რამდენიმე ადგილის ეს მილებიც აღმოჩენილია. ისინი კარგადაა გამომწვარი და მე-12 საუკ. თიხის მილების ტიპისაა.

მაკარ წყალი მდებარეობს გუჯარეთ-ბორჯომის შარა გზაზე. ეს სახელი დარწმუვია მეუკე წყლის გამო. შეიძლება ეს იყოს ვახუშტის მიერ ამავე ადგილის აღნიშნული — წყაროს სუბანი. მაკარ-წყალი იყო საზღვარი მებატონე ციციშვილებისა და დიდი მთავრის სამფლობელოებისა. მაკარწყლის ქვემო მხარე კუთვნოდა დიდ მთავარს მიხეილ რომანოვს, ზემო კი — ციციშვილებს.

მაკარწყალი კუთვნებია დიდ მთავარს და მოსახლეობაც გადასახადს მას აძლევდა. ყოველ მეკომურზე წლიურად 2—3 მანეთამდე. ვინც ვერ გადაიხდიდა, მას უნდა ემუშავა მთავრის წარმოებაში.

ძველი ნასოფლარი მაღლობზე, სადაც არის ქვიტკირის ეკლესიის კედლის ნანგრევი, მას უწოდებენ წმ. ნიკოლოზს.

კარის თავზე გამართულია დიდი ლოდი, რომელზედაც ამოკრილია ასომთავრული წარწერა. ქვა ჩოფურაა და ასოები ძნელად იკითხება. გარევევით მოჩანს მხოლოდ „ქე ნიკოლოზ“...

მაკარწყლიდან ერთი კოლომეტრის მანძილზე ბორჯომის მიმართულებით, შარაგზის მარცხენა მხარეზე, გზიდან 300 მეტრის დაშორებით არის ძველი ციხე-სიმაგრის ნანგრევი, რომელსაც ას-ლა „ცამალას ციხეს“ უწოდებენ. ცამალა ან შამილი მაკარ-წყლელი ოსი ყოფილა, რომელიც ფლობდა ამ ციხის მიდამოს სა-თიბ-სათეს ადგილებს.

ციხე აგებულია სტრატეგიულ აღგილას, სადაც გუჯარეთის წყალს შეერთვის ბერწისხევის წყალი. აღმოსავლეთით მას წყლის ბერწისხევი, რომელიც ლრმაა და ტყითაა შემოსილი. სამხრეთითაა ჩამოუდის გუჯარეთის წყალი.

ციხე ქვის დიდი ლოდებითაა ნაგები. კარგადაა შენახული მისი აღმოსავლეთის კედელი. კედელს აქვს სამი ბურჯი, ნახევარ ჭრის ფორმისა. გუჯარეთის წყლის მხარეზე მას აკრავს მაღალი კლდე, რომელშიაც გაყვანილი ყოფილა სამი გვირაბი. გვირაბები ახლა ამოქოლვილია.

ციხეში წყალი გამოყვანილი ყოფილა თიხის მილებით გზის გაღმა მდებარე წყაროდან, დაახლოებით ერთი კილომეტრის მანძილიდან. თიხის მილების ნაშთი დღემდეა დარჩენილი.

ციხე შემოზღუდული ყოფილა მაღალი გალავნით, რომელ-შიაც მოჩანს ჩაქცეულ ნაგებობათა საძირკველი. იქვეა ძველი ნასოფლარიც.

ცამალას ციხის წყალსაღენის ერთი მილი მიღიოდა თურმერქვე ახლო მდებარე საყარაულო კოშკი, რომელიც ერთი კილომეტრით არის დაშორებული. თიხის მილებს კოშკთანაც პოულობენ.

ეს ციხე არის ძველი მომწვარის ციხე, რომელიც ვახუშტის თავისი რუკაზე ამავე აღგილას აქვს აღნიშნული და რომლის შესახებ ამბობს: „არს ციხე მომწვარის, და ეკლესია მცირე, და შენობანი დიღნი“-ო (გვ. 59).

ბორჯომ-გუჯარეთის გზის მარჯვენა მხარეზე არის ძველი ნასოფლარი, სადაც დაცულია პატარია ეკლესია „სანება“ (სამება). ამ აღგილს უწოდებენ „სახდელის ჯვარს“. ეკლესია ერთ ნავიანია, ქვიტკირით ნაგებია და მოხატულიც ყოფილა. მხარევრობა შერჩენილია საკურთხეველში.

ეკლესიის გვერდით, მაღალ ბორცვზე ნაკოშეარია, დარჩენილია მისი წინა მხარის ნაწილი, მომრგვალებული ფორმისა. მას გალავანიც ჰქონია და შიგ ოთახებიც ყოფილა გამართული. ამ ციხე-გალავანს უწოდებენ „სახდელის ციხეს“. იგი გადასცერის აბანოსხევის წყალს, რომელიც ჩამოუდის მას ჩრდილო-დასავლეთით.

ეს უნდა იყოს ვახუშტის რუკაზე ამავე აღგილას აღნიშნული სოფე. სარბიელა და სარბიელას ხევი, რომელსაც ახლა უწოდებენ აბანოსხევს.

ამ აბანოს წყალზე არის ყერძენის ციხე და ნასოფლარი. ყერძენის ციხე მაღალ კლდეზეა აგებული, აღმოსავლეთ-სამხრე-თით მას ჩამოუდის აბანოსხევის წყალი.

ყერძენის ეს ციხე ვახუშტისაც აქვს ამავე ადგილის ფრენის გადასახლი თავის რუკაზე.

ციხე ნაგებია კლდის ქვით. მას თავში და ბოლოში აქვს საყარაულო კოშკი, იგი შემოზღუდული ყოფილა მაღალი გალავანით.

ორივე კოშკი დაშლილია, დარჩენილია ქვედა ნაწილი, ფორმით მომრგვალებულია. დასავლეთის კოშკის მახლობლად გარედან კედელზე მიშენებულია ხარო, რომლის სილრმე უდრის 5 მეტრს. ციხის კედლიდან ამ ხაროსაკენ არის გასასვლელი პატარა კარი. ციხის შუა მოედანზე ჩაფლულია ოთხი დიდი ქვევრი, ერთი მათგანი მთელია. ციხის სამხრეთ კედელთან არის ოთხკუთხედი ფორმის ნაგებობა, რაც უნდა იყოს წყალსაცავი. ამავე მხარეზე გალავნიდან გამართულია გვირაბი, რომელიც გამოდიოდა სამხრეთის მხარეზე. გვირაბი ეხლა ჩატეულია.


ციხე ძნელი მისადგომია. ციხეში მისასვლელი გზა უნდა ყოფილიყო ნასოფლარ ყერძენიდან, საითკენაც არის საკალთებო ბილიკი. ნასოფლარი ყერძენი ციხიდან დაშორებულია ერთი კილომეტრით. აქვეა გვირგვინას მთის ძირში გვირგვინას ტაძრის ნანგრევი.

ყერძენის ზემო, მაღალ მთის წვერზე არის ციხე ალექსი, ვახუშტი მას უწოდებს ალექსის ციხეს და ასე ალექს: „სარბიელას-ხევის თავს, მაღალს მთის წვერზე არს ციხე ალექსისა, მაგარი და მჭვრეტი ქართლ-იმერეთისა“-ო (გვ. 59.). ეს ციხე ვახუშტის რუკაზედაც აქვს აღნიშნული. სოფ. წინაუბნიდან გზა მიდის ალექსის ციხისაკენ. გზა კარგია და აქედან გადადის ხაშურში. ციხე აგებულია მაღალ კლდეზე და ძნელი ასასვლელია. ეს კლდოვანი მთა ყოფს გუჯარეთისა და ძამას ხეობას. ჩრდილოეთით ძამას ხეობაა, სამხრეთით—გუჯარეთის წყალი. ციხეს ჩამოუდის ტყემლოვანასა და შუანოს წყალი, რომლებიც ერთმანეთს შეერთვის ტყემლოვანაში. აქედან ტყემლოვანას წყალი უერთდება აბუხალოს წყალს და ორივენი შეერთვიან მდინარე ძამას.

ალექსის ციხეზე შეიძლება ასვლა მხოლოდ სამხრეთის მხრიდან და ისიც დიდი გაჭირვებით.

ციხეს შერჩენია ორი კედელი—ერთი დაბლა, მეორე—მაღლა, მისი სხვა ნაწილები დაშლილია. ციხეს ჰქონია ორი კოშკი, მათგან დარჩენილია მხოლოდ მომრგვალო ფორმის საძირკველი.

კლდე მაღალია და ალექსის ციხეც შორი მანძილიდან კარგად მოჩანს.



სურ. 2. ყერძენის ციხე.

ციხე ნაგებია კლდის ქვითა და დუღაბით. ამჯამად იგი იმ-დენად დანგრეულია, რომ ძნელია მისი ნაგებობის კონსტრუქციის დადგენა. შიგ წყალსაცავი აუზი და გვირაბები არ ჩანს და წყლით მომარაგების საკითხიც გაურჩეველია.

ალექსის ციხეს თავის დროშე დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, იგი იცავდა სამხრეთიდან ხაშურისაკენ მემკვიდრეობის, რომელიც აქვდან გადიოდა.

თუ მტერი ყერძენის ციხე-სიმაგრეს გაარღვევდა, მას ჰქონდა ორი მიმართულებით გასასვლელი: ერთი გვერდისუბნიდან, ალექსის ციხეზე შემოვლით, ხაშურისაკენ, მეორე გუჯარეთიდან აბუხალო—ტყემლოვანის გზით, მზორეთის (ორთუბნის) ციხის შემოვლით, ძამას ხეობით ქარელისაკენ.

მიტარბი. ეს სოფელი მდებარეობს მიტარბის წყალზე, რომელიც უერთდება გუჯარეთის წყალს. მიტარბი იყოფა ორ უბნად დიდი და პატარა მიტარბი. პრის ძევლი ნასოფლარი, სადაც დარჩენილია დარბაზული ტიპის სახლების ნანგრევები და აგრეთვე დაშლილი ეკლესიები. მათ შორის საყურადღებო „ღვთისმშობელი“, რომელიც ნაგებია კლდის დიდი ქვებით და გადახურული ყოფილა ქვის კრამიტით. ეკლესია მოზრდილია. იგი მთლად დაშლილია, ურევია ორნამენტირებული ქვებიც, რომლებზედაც ამოკრილია რკალში ჩასმული ჯვრები.

მიტარბი მოხსენებულია გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში, როგორც ცარიელი სოფელი (იხ. გვ. 332). ეტყობა თურქების ბატონობის პერიოდში მოსახლეობა აქვდან აყრილა და ეს სოფელიც გაპარტახებულა.

აქვდან გზა გადადის ნასოფლარ რუისში, რომელსაც ახლა უწოდებენ რუისებს. ნასოფლარი დავაკებაზე, მდებარეობა ლამაზია. დიდი ლოდებით მშრალად ნაგები სახლები ჩაქცეულია, შიგა და შიგ ურევია დიდი მოცულობის დარბაზებიც, ზოგი მათგანი გატიხერული ყოფილა ორ ოთახად. აქვევა პატარა ეკლესის ნანგრევი, რომელსაც უწოდებენ „ღვთისმშობელს“. საკურთხეველთან აუდია ჩუქურთმით მოარზიებული ქვალიქალი.

რუისის მახლობლად, ბოგირის ღელესთან მაღალ კლდეში გამართულია ორსართულიანი სამალავი, რომელსაც წინა მხარე ამოშენებული ჰქონია. მისი ზედა სართული ამჟამად ჩამოშლილია. შიგ უპირველი აკვანი, ჯამები, ქოთნები და სხვა. სამალავის კარებს შერჩენილი აქვს ხის ჩარჩო. შიშიანობის დროს მოსახლეობა ამგვარ სამალავში იხილებოდა. ამ მხარეშიც ბევრია ასეთი ტიპის სამალავები.

კიმოთისუბანი მდებარეობს გუჯარეთ-ბორჯომის შარა-გზაზე. ვახუშტი მას უწოდებს „კიმოთისმანს“¹ და ესე აღ-

¹ კიმოთისმანი ვახუშტის რუკაზე აღნიშნულია ორ ადგილას: ერთი გუჯარეთის ნაპირას, მეორე კი შეცდომით ახალციხესთან, ბორჯომის ხევის სათავესთან.

წერს: „სიდგერის ზეით მოერთვის თორის-წყალს, საშორიდა
ბაკულიანის-წყალი. აქა, თორის-წყლის აღმოსავლით, არსებულ
მოთისმანს მონასტერი გუმბათიანი, კეთილშენი, მშვენიერს აღ-
გილს, ზის წინამძღვარი“—ო. (83—84). იგი მოხსენებულია, როგორც
სოფელი კიმოტესმანი, გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში.
თურქების ბატონობის პერიოდში ეს სოფელი აყრილა, დარჩენი-
ლი მხოლოდ ორი კომლი: ანანია მაცხონისძე და ძმა ნიკოლოზი
(გვ. 331). ახლა უწოდებენ კიმოთესუბანს ან ტიმოთეს—
უბანს. ამ სახელს უკავშირებენ ტიმოთე ინასარისძეს, რომლის
მამა თევდორე აქ პირველად დასახლებულა. ეს ადგილი უკაცრი-
ელი ყოფილა და ტყით დაფარული, მხოლოდ ეკლესია იყო დარ-
ჩენილი.

ტიმოთისუბანი ეკუთვნოდა დიდ მთავარს და აქაური გლე-
ხები მას კომლზე ორ მანეთს უხდიდნენ წლიურად.

ეს სოფელი მდებარეობს მდ. გუჯარეთის ნაპირას, ზედ შა-
რაგზახე და მტერიც მას ხშირად ეტანებოდა. მტრისაგან თავ-
დაცვის მიზნით მდ. გუჯარეთის მარცხენა მხარეს, მაღალ კედელ-
ში გაუმართავთ, სამალავი. სულ არის სამი სამალავი ერთმანე-
თისაგან დაშორებით. სამალავი ციცაბო კლდეშია გამოჭრილი,
მისი წინა მხარე ქვიტკირით არის ამოშენებული და ზედ დაპყუ-
რებს გუჯარეთის ხეობას. სამალავი მაღლაა, მასში შესვლა ძნელია
და სახითათოც.

ამ რამდენიმე წლის წინედ პირველ სამალავში შესულა მი-
ხეილ ცერცვა აქ, რომელსაც იქ უპოვნია მთლიანი ხისაგან გა-
მოკვეთილი ხის სასწორი და ორი სპილენძის ჯამი. სამალავი ყო-
ფილა ორსართულიანი, ოთახებით გამართული. თითოეულ სარ-
თულს ჰქონია ერთი კარი, სართულიდან სართულზე კიბით აღი-
ოდნენ თურმე. ხის კიბე ახლაც არის შიგ დაცულით, მხოლოდ
ერთი კიბე გადმოუგდიათ.

ოთახებში გამართულია ვიწრო საწოლებით და ზოგი ოთახი
საკმაო დიდი მოცულობისათ.

სამალავის კარ-ფანჯრების ჩარჩოები ახლაც კარგად მოჩანს.
წინად ასასელელიც ჰქონია, მაგრამ ახლა ჩამონგრეულია და მისი
კვალიც არ ეტყობა. ეს სამალავი ძლიერ შთაბეჭდილებას სტრ-
ვებს. შორიდან მერცხლის ბუდესავით არის კლდეში მიკრული
და ისეა მასთან შეხამებული, რომ მგზავრი მას ვერც კი შეამჩნევს.

ეს სამალავები მშვენებლობის ტექნიკის მიხედვით უნდა იყოს
აგებული მე-17—18 საუკუნეში. შესაძლებელია ამ სამალაბვეში იხიზ-
ნებოდნენ აგრეთვე მონასტრის მსახურნიც.

გუჯარეთის-წყალს აქ ერთვის საყდრის-ხევი, სადაც ორის/ მონასტერი „კიმოთესმანი“, რომელსაც ახლა ტიოთეს შემოწმება/ ტერს უწოდებენ.

მონასტრის ეკლესია ნაგებია აგურით, ჯვრის ფორმისაა და აქვს მაღალი გუმბათი. ეკლესია ლვისმშობლის მიძინების სახელ-ზეა. ჩრდილოეთის მხარეზე ვეფხის თავია გამოქანდაკებული. გუმ-ბათს შემოვლებული აქვს მოჭიქული მუქი ცისფერი არშია, ქვეშ კი მოჭიქული ჯვრებია. გუმბათის ფანჯრებში სინათლისათვის ჩასმულია თიხის ფირფიტის სანათურები, რომლებიც დაჩვრეტი-ლია შუქისათვის.

ეკლესიას სამხრეთით მიშენებული აქვს კარიბჭე. იგი ქვიტ-კირისაა, თაღოვანი და შემკულია ჩუქურთმებით. ჩუქურთმა მარ-ტივია და სადა. უფრო კარბობს ფოთლოვანი სახეები (პალმეტები). ეკლესიის კედელი მხარეზულია; ამჟამად ეს მხარეზულობა და-ზიანებულია და მისი ნაწილი ჩამოცვენილია, განსაკუთრებით სამხ-რეთის კედელზე, სადაც უნდა ყოფილიყვნენ გამოსახული საერო პირები. მხარეზრობა მკრთალია და ძნელად გასარკვევი. კარგად მოჩანს: სერობა, მიძინება, ჯვარუმა და სხვა.

საკურთხევლის კონქზე წმინდანებს ხელში უჭირავს გრაგნი-ლები, რომლებზედაც ასომთავრული წარწერებია.

ტიმოთისუბნის ეს კედლის მხარეზრობა მიეკუთვნება მე-12—13 საუკუნეს¹.

ეკლესიას აღმშენებლის წარწერა არა აქვს, მხოლოდ მისი ნაგებობისა და მხარეზრობის მიხედვით მიეკუთვნება მე-12—13 საუკ.

ეკლესიის შესასვლელში აგურის შენობაა, რომელიც ნაწი-ლობრივად დაშლილია. იგი სამ ოთახიანია და აქვს ისრული თა-ლები. ზედ გამართული ჰქონია სამრეკლო, რომელსაც სამივე მხრივ აქვს ასასვლელი კიბე.

ეკლესიის ზემოთ დგას ერთნავიანი ქვიტკირის პატარა საყ-დარი, რომელსაც უწოდებენ წმ. ბარბარეს, სადაც მოლოზნე-ბი ლოცულობდნენ. ეს საყდარი ძველია, მოპირკეთებულია თლილი ქვით. დასავლეთის კედლის სარკმელზე აქვს ასომთავრული წარწერა:

ქე ადე შლა ეე

სოლ (?)

აქვეა რიყის ქვით ნაგები მოლოზნების სადგომი. ბინები ბანიანია,

¹ Н. И. Толмачевская—Фрески древней Грузии, стр. 13—14.

დაბალი და მნელი. ერთი მოელია, ორი დანგრეულია. ოთხეპში /
გამართულია ქვის ტახტები, აქვს ერთი პატარა კარი. მარცხელის გადასახლისა /

ეკლესიის ზემო და ქვემო ნამოსახლარია. ეტყობა აქ მჭიდრო
მოსახლეობა ყოფილა.

მე-16 საუკ. თურქების ბატონობის პერიოდში ეს სოფელი
გაპარტახებულია და დაცარიელებულია. გურჯისტანის ვილაიეთის
დიდ დავთარში მოხსენებულია სოფელი „კიმოტესმანი“, სადაც
მხოლოდ ორი კომლი ყოფილა დარჩენილი (გვ. 331).

უზნის ციხე წალვერის თავზეა, გუჯარეთის წყლის ნაპირას.
ვახუშტი მას უწოდებს უზნარიანის ციხეს: „კიმოთისმანის
ქვევით არს ციხე, თორის-წყლის აღმოსავლეთის კიდესა ზედა, უზ-
ნარიანისა, ფრიად მაგარი“-ო. (გვ. 83—84).

ხალხური თქმულებით ეს სახელი ციხეს ეწოდა მცენარე უზნის
გამო, რომელიც იზრდება ციხის გარშემო. ზოგის თქმით კი ეს
ციხე ეკუთვნოდა უზნაძეებსო. ეს მოსახრება უფრო მართებულია.
ჩვენ ვიცით, რომ სამცხე-საათაბაგოს კათალიკოსის სამწყოსში
მოხსენებულია ეს გვარი: „კალმახელი სასაფლაოთა, მონასტერითა
და კარის ეკლესიითა უზნასძეთა აქუს“¹.

ეს გვარი ეკუთვნოდა მაღალ წოდებას, რომელსაც ჰქონია
თავისი მონასტერი და კარის ეკლესია. მასვე უნდა ჰქონოდა თა-
ვისივე სახელწოდების ციხე „უზნის“ ანუ „უზნიანის“ ციხე. როთ
უმეტეს უზნარიანის ციხე აგებულია მაღალ კლდეზე, სადაც ძვე-
ლად უნდა ყოფილიყო ვიწრო გასასვლელი (ახლა გზის მშენებლო-
ბასთან დაკავშირებით გაფართოებულია). ციხეს ასასვლელი აქვს
მარტო სამხრეთით, სხვა მხრიდან იგი მიუდგომელია.

ეს ციხე დარაჯობს გუჯარეთის ხეობას და იმ გზას, რომე-
ლიც მორჯომ-წალვერიდან შედის ხეობაში.

ციხე საქმიად ვრცელია და კარგად ნაგები (ქვიტკირით).
სამხრეთით, საიდანაც გზა შედის ციხეში, გამაგრებულია გალავ-
ნით. ახლა დარჩენილია ამ გალავნის კედლის ნაშილი. გალავანს
ჰქონია კარი, საიდანაც შედიოდნენ ციხეში. გალავანშივეა ქირნა-
ხულის შესანახი ქვიტკირის ხარო. იგი საშუალო ზომისაა, მო-
მრგვალებული, ნაშილობრივად უკვე დაშლილია.

¹ კათალიკოსის სამწყოს სამცხე-საათაბაგოს (თავადნი და სოფელნი).
Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, СПБ.
1878 г. გვ. 80; ს. კაკაბაძე, კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის სა-
კითხების შესახებ, თბილისი, 1920 წ., გვ. 8.

გალავნიდან შედიხართ ციხეში, რომელსაც საკმაოდ გრძელი
კარი აქვს. კარის თავზეა უზარმაზარი ლოდი, შესავლის მატანის
საკმაოდ განიერი ოთახის კედლებია, აქ უნდა ყოფილიყო საყა-
რაულო. შემდეგ შედიხართ ციხის მოედანზე, რომელიც ერთ დროს
შემოზღუდული ყოფილა გალავნით. მოედანზე მოჩანს ჩაქცეულ ნა-
გებობათა ორმოები.

აქვეა ორი ნაკოშვარი. ერთი დასავლეთის მხარეზეა, ამეამად
უკვე დაშლილი და მეორე — აღმოსავლეთით, მისგან დარჩენილი
კედლის ნახევარი. ფორმით მომრგვალებულია და საკმაოდ დიდი
მოცულობისაა.

ორივე ეს კოშკი გადაცემროდა გუჯარეთის-წყლის ხეობას
და იცავდა აქ შემოსასვლელ გზას, რომელიც აქედან გადიოდა
ხაშურისა და ქარელისაკენ.

უზნარიანის ციხე ძველია, თავისი კონსტრუქციითა და ნაგე-
ბობის ტექნიკით იგი შეიძლება მივაკუთვნოთ აღრინდელ ფეოდა-
ლურ ხანას (მე-9—10 საუკ.).

ვახუშტი თავის გეოგრაფიულ აღწერილობაში კი მოთხის-
მანსა და უზნარიანის ციხეს ათავსებს სადგერის ხეობაში,
რომელიც დღეს მდებარეობს შავწყალსა (ბორჯომელა) და გუჯა-
რეთის—წყალს შუა.

ვახუშტი სიტყვით: “შავწყალი გამოდის ბაკულიანისა და
კოდიანის მთასა და მიერთვის მტკვარს სამხრიდამ. გომარეთამდე
შავ-წყალსა და თორის-წყალს უწოდებენ აწ სადგერის ხეობას“.-ო
(გვ. 83).

სადგერის ხეობაში დასახელებულია შემდეგი სოფლები:

ვახუშტით:

1. სადგერი, 2. დაბა, 3. თედიანთ უბანი, 4. წალველი, 5. უზ-
ნარიანი, 6. კიმოთისმანი, 7. გიგოს უბანი, 8. შულლათ უბანი,
9. ეკლობანი, 10. ყერძენი, 11. კეცხოელი, 12. ზეამზია, 13. ბაკუ-
ლიანი, 14. ცემი.

დღეს:

1. სადგერი, 2. დაბა, 3. წალვერი, 4. უზნის ციხე, 5. ტიმო-
თესუბანი, 6. მზეთამზე, 7. ბაკურიანი, 8. ცემი.

დაბა მდებარეობს გუჯარეთის-წყლის პირას. მასზე გა-
დის დიდი შარაგზა ბორჯომ-წალვერი-გუჯარეთი. აქვეა რკინიგზის
სადგურიც. თეთო სოფელი გაშენებულია გუჯარეთის-წყლის ნაპი-
რას. მოსახლეობა ახალია, საქართველოს სხვადასხვა მხრიდან გად-
მოსახლებული.

დაბის დღევანდელ მოსახლეობას არ ახსოვს ამ სოფლის სასოფლო ტორიული თავგადასაყალი, მაგრამ მის სიძველზე მეტაჭალებული აქ დაცული ისტორიული ძეგლები და ნასოფლარი. ეტყობა, ძველად აქ მცირო მოსახლეობა ყოფილა, რომელსაც პქონია ორი სამლოცველო — ეკლესია: ერთი შუა სოფელში, მეორე განაპირას, კლდის ფერდობზე.

სოფლის თავზე, მაღალ ბორცვზე ყოფილი საყირაოულო, რომელსაც ახლაც უწოდებენ „ბაირალს“ და სადაც დარჩენილია ძველი ნაკოშვარი. ეს უნდა ყოფილიყო მტრის შემოჭრის დროს სიგნალის მიმცემი, უზნარიანის ციხისა (წალვერი), გოგის ციხისა (ბორჯომი) და პეტრეს ციხისა (ლიკანი).

საშიშროების დროს სოფელი იხიზნებოდა „მარიამწმინდის“ ეკლესის გალავანში, რომელიც ამჟამად ნაწილობრივად დაშლილია. გალავანი ნაგებია კლდის დიდი ლოდებით და დუღაბით. იგი მიშენებულია მაღალ კლდეზე, რომელიც ეკლესის იცავდა აღმოსავლეთ-სამხრეთის მხრიდან.

გალავანს დასავლეთით აქვს საკმაოდ განიერი და ლამაზ-თალიანი ჭიშვარი. გალავნის დასავლეთით კლდეზე აღმართულია მაღალი, სვეტის მსგავსი ბორცვი. გალავნიდან ამ ბორცვზე აღის ქვის კიბე. ეტყობა, ეს ბორცვი გამოყენებული იყო დასაზერავად მით უმეტეს, რომ იგი გადასცემერის გუჯარეთის ხეობას და იქვე მიმავალ გზას.


ეკლესია ნაწილობრივად დანგრეულია, დარჩენილია მისი კედლები, ნაგები კლდის დიდი ლოდებით და დუღაბით. ზოგან მოპირკეთებულია თლილი ქვით. ნაგებობა შესდგება საძი ოთახისაგან: პირველი შედარებით მოზრდილია, კარი აქვს სამხრეთით. ამ ოთახიდან შესასვლელია მეორე პატარა ოთახში, შემდეგ — მესამე ოთახში.

პირველი ოთახი უნდა ყოფილიყო ეკლესის დარბაზი, მეორე ასრულებდა საკურთხევლის დანიშნულებას, მესამე უნდა ყოფილიყო საეკლესიო ინვენტარისა და ქონების სათავსო.

ეკლესია და მისი გალავანი ძველია (მე-11—12 საუკ.). გალავანი ასრულებდა თავდაცვით საქმეს და საშიშროების დროს მოსახლეობა მასში აფარებდა თავს.

მეორე ტაძარი გუჯარეთის წყლის გაღმა კლდეზეა მიშენებული. იგი დაფარულია წიწვიანი ტყით. ტაძარი მიშენებულია გამოქვაბულ კლდეზე, ტაძარი დარბაზული ტიპისაა, ლამაზიდ ნაგები, შიგნით და გარედ მოპირკეთებულია თლილი ქვით. მოხარული არ ყოფილა.

ეკლესია მთელია, დაზიანებულია მხოლოდ მისი ჩრდილოეთის
კედელი, რომელიც ნახევრად ჩამონგრეულია. იგი გადახურულია
ქვაფიქალით ორ ფერდად.



სურ. 3.

ეკლესიას მისასვლე-
ლი აქვს დასავლეთის
მხრიდან. კარ-სარქმე-
ლი შემკულია ლამაზი
ჩუქურთმიანი არშიე-
ბით და როზეტებით.

დასავლეთის კარის
თავზე ამოქრილია ლა-
მაზად გამოყვანილი
ასომთავრული წარწე-
რა, რომელიც ასე იყი-
თხება:

1. ინდიქტიონ-
სა მეფეთ მეფის:
გიორგის ძის და-
მიტრისა: მე-
ცხრამეტესა::.

2. სიტყვისა
ლვთისა:: ხორცო-
შესხმას.

3. აღვაშენე ტა-
დარი:: ესე:: ეამ-
სა... წარწერის შემ-

დეგი სტრიქონები დროთავითარებაში წაშლილა და არ იყითხება.

ეს წარწერა გადალებული და წაკითხული აქვს მარი ბრო-
სეს¹. და დიმიტრი ბაქრაძეს².

მ. ბროსეს დაბის ტაძრის ეს წარწერა თვითონ არ უნახავს.
ამ წარწერის პირი მას მიაწოდა მეღვინეთუხუცესის-
შვილმა, რომლის მიხედვით იმ დროს, ე. ი. მე-19 საუკ. პირველ
ნახევარში, წარწერა უფრო სრულად ყოფილა შემონახული და
იყითხებოდა ასე:


1. ინდიქტიონსა მეფეთ მეფის გიორგისა, ძის
დიმიტრისა, მეცხრამეტისა,

¹ Brosset, Voyage archéologique, 1855 წწ., III, გვ. 102.

² Д. Бакрадзе — Кавказ в древних памятниках христианства, Тб., 1875 г., გვ. 126.

2. სიტყვისა ლვთისა ხორცშესხმის მიზენობა.
3. აღვაშენე ტაძარი ესე ფამსა მეფეთ მუჟიდული
4. გიორგისა მე მთინთ მოლარეთხუცეს გვალიოსა
5. ქ' კა: (21)=1333 წელი.

ამ წარწერის მიხედვით ბროსე ამ ტაძრის აშენებას მიაკუთვნებს მე-14 საუკ. პირველ ნახევარს და წარწერაში მოხსენებული მეფე გიორგი დიმიტრის-ძე მას მიაჩნია გიორგი V ბრწყინვალედ, რომელიც მეფობდა 1314—1346 წელს.



სურ. 4. დაბის ტაძრის წარწერა.

დიმიტრი ბაქრაძეს ამ წარწერაში მოხსენებული გიორგი მეფე შეცდომით მიაჩნია გიორგი III (1156—1184 წ.), რომლის მეფობის მე-19 წელს (ინდიქტიონს) ეს ტაძარი დაბაში აუშენებიათ, ე. ი. 1175 წელს.

დღეს დაბის წარწერაში უკანასკნელი სტრიქონი და თარილი წაშლილია, იგი წაშლილი ყოფილი დ. ბაქრაძის დროსაც (1870 წელს) და მას ეჭვიც შეაქვს ასეთი ქორონიკონის აოსებობაშიც¹.

რაც შეეხება ტაძრის აგებას, გიორგი დიმიტრის ძის გამეფების მე-19 ინდიქტიონს (წელს) ეს დღესაც გარკვევით იკითხება. ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ გიორგი III მეფობის მე-19 ინდიქტიონი, ე. ი. 1175 წელი არ უდგება წარწერის ქორონიკონს 1333 წელს, გიორგი მე-V ბრწყინვალის მეფობის მე-19 ინდიქტიონი კი, ე. ი. 1333 წელი ზუსტად ემთხვევა წარწერის ქორონიკონს.

ამგვარად, წარწერის ქორონიკონისა და გიორგი V მეფობის მე-19 ინდიქტიონის მიხედვით დაბის ტაძარი აუშენებია 1333 წელს მოლარეთხუცესს.

¹ Д. Бакрадзе, გვ. 126—127.

ამას გარდა, ნაევბობის ტექნიკისა და დეკორატიული მოწოდებით, დაბის ტაძარი ემსგავსება ჭულება და ზარზმების რეაციებს, რომლებიც აეგბულია ამავე მე-13—14 საუკე¹.

ამასთანავე საჭიროა გავარკვიოთ ტაძრის მშენებელის ვინაობა. იგი მოხსენებულია მოლარეთხუცესად, ე. ი. სალაროს უფროსად. ჩვენ ვიცით, რომ მოლარეთხუცესი განავებდა სამეფო სალაროს და იგი ექვემდებარებოდა მექურჭლეთ-უხუცესს.

სალაროც განსხვავდებოდა საჭურვლისაგან. სალარო იყო სა-
სათავო ხაზინა (ხელუხლებელი) და ემორჩილებოდა უშუალოდ
მეფეს.

მაშასადამე, არსებითად საჭურჭლე და სალარო იმით განხევავდებოდნენ ერთმანეთისაგან, რომ საჭურჭლეში მხოლოდ სახარჯო „სახმარებლად სანიადაგო“-დ განკუთვნილი განძეული იყო შენახული, სალაროში კი, პირიქით, ისეთი განძეულობა, რომელიც იყო უხმარებელი და „შეკრული“ იღვა².

წარწერაში მოხსენებულია მოლარეთხუცესის სახელი თუ წოდებულება „მთინთ“, რომლის გაშიფვრა ძნელია.

ასეთი ტიპის ძეგლი და ისიც დათაროლებული ამ მხარეში იშვიათია. ღ. ბაქრაძე აღტაცებულია დაბის ამ ტაძრის სიმშვენიერით, განსაკუთრებით მისი წარწერის სილაპაზით და ამბობს: „დაბის წარწერა მართლაც წარმოადგენს დამწერლობის ულამაზეს ნიმუშს, რაც მე მინახავს“-ო. მხოლოდ იგი შეცდომით უწოდებს „მაცხოვარს“ დაბის ამ ტაძარს, სინამდვილეში კი ის წმ. გორგის სახელობისაა და აქ გიორგობას, 23 აპრილს და 10 ნოემბრის, სალოცავად მოდიოდნენ ახლო-მახლო სოფლებიდან.

დაბის ეს ძეგლები აშკარად მეტყველებენ, რომ შეა საუკუნეებში დაბა ყოფილა მჭიდროდ დასახლებული და კეთილმოწყობილი სოფელი. მე-16 საუკუნეში თურქების ბატონობის პერიოდში იგი გაპარტახებულა და მისი მოსახლეობაც შემცირებულა. გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში დაბაში აღნესხულია მხოლოდ ორი კომლი (გვ. 329).

სადგრი მოთავსებულია ორ წყალ ზუა. ჩრდილოეთი მას უკლის შავიწყალი (ახლა უწოდებენ „ბორჯომელას“), რომელ-საც სათავე ცხრაწყაროს ქედზე აქვს. იგი უერთდება ბტკარს

¹ Р. Шмерлинг, Постройка моларет-ухуцеса царя Георгия блестательного в сел. Даба, Борж. р. об. „ქართული ხელოვნება“. ხელოვნების ინსტიტუტის შრომები, № 2, გვ. 111—121.

² ი. ჭავაბარშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, ქუთაისი, 1919 წ., გვ. 176—177.

პორჯომ-პარეთან. სამხრეთით კი სადგერს ჩამოუდის გუჯარეთის
წყალი, რომელიც მტკვარს ერთვის სად. ბორჯომთან (ჩარხის-
ურანის შემთხვევაში) გუჯარეთის წყალი).

როგორც ზემოთაც მოხსენებული იყო, სადგერი ძველად ავა-
ლიშვილებს ეკუთვნოდა. მათ უნდა ეს ხეობა დაეცვათ აბრაგ ლე-
კების თარეშისაგან. ავალიშვილებს სადგერში ჰქონიათ თავი-
ანთი რეზიდენცია, სადაც საკმოლ გამაგრებული ციხეც ყოფი-
ლა. ამას ვა ხუ შტრის ცნობაც ადასტურებს: „შემოდგა ურუმ-
თა ჯარი (1734 წ.) სადგერსა, გამოვიდნენ ავალიშვილები და გა-
ძეციეს ურუმი და მოწყვიტესონ“.

მაგრამ ავალიშვილებმა ვერ შეძლეს მტრებთან გამქლავება
და თავიანთი გლეხებით გადასახლდნენ შეა ქართლში.

ამგვარად, მე-18 საუკუნეში სადგერის მოსახლეობა იძულე-
ბული გახდა დაეტოვებინა ეს სოფელი და გახიზნულიყო უშიშარ
მხარეში.

საქართველოს რუსეთთან შეტაცების შემდეგ, ავალიშვილებმა
1832 წელს მოითხოვეს სადგერს დაბრუნება და იქ დაესახლე-
ბიათ ბრეთილან გადმოყანილი თავიანთი ყმა-გლეხები. მაგრამ
ავალიშვილების ეს დავა ხაზინასთან, როგორც ვიცით, 1852 წელს
დამთავრდა ხაზინის სასარგებლოდ და სადგერის ნასოფლარზე
მეფის მთავრობამ დაასახლა უქაინელები. მათ აქ უცხოვრიათ
1860—1900 წლამდე და აქედან თანდათანობით გადასულან ბორ-
ჯომში. დღეს აქ ცხოვრობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან
გადმოსული ქართველები.

სადგერში დაცულია ძველი ტაძარი, რომელსაც უწოდებენ
ჭმ. გიორგის. ტაძარი ნაგებია თლილი ქვით, დარბაზული ტიპისაა
და გადახურული ყოფილა ქვაფიქალით.

ტაძარი შემცულია ცხოველებისა და მცენარის ბარელიეფებით,
სარქმლები კი ყურძნის მტევნებია. ჩრდილოეთის ფასადზე გამო-
სახულია მხედარი (ჭმ. გიორგი) გვილაშაპის ვამგმირავი, გარეული
თხა, ვეზაპი და სხვა. დასავლეთის ფასადზე გამოსახულია შველი
და მონადირე ხელში შვილდ-ისარი.

სადგერის ეს ტაძარი დაბის ტაძართან შეუარებით უფრო
მდარეა, მხოლოდ ნაგებობის მიხდვით უნდა მიეკუთვნოს იმავე
პერიოდს, მე-14—15 საუკ¹. ამას მოწმობს სადგერის ეკლესიის დე-
კანონზის სკომონ შოთაძის ცნობაც. მას მე-15 საუკუნის მი-

¹ ვა ხ ტანგ ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, საქარ. მეც. აკად.
გამოცემა, თბ., 1955 წ., გვ. 199.

წურულში დაუწერია ოდა (შესხმა¹). მიძღვნილი სადგერის გიორგისადმი, რომლის შინაარსიდან კტყობილობთ, რომელმთვა-
ძეთა გვარი ყოფილა სადგერის ჯვრის მხლებელნი და შეველლი.

დეკანოზ სვიმონსა და მის ძმის ვასილს აუგიათ სადგერის ეკლესიის კარიბჭე. ეს მშენებლობა გაგრძელებულა ორი წელიწადი:

„ჩუენ ორთავ ძმათა (გვლხინებ) გუარჩამოთ შოთასძეთაო,
ხელვაცით გება ტაძრისა ამ შენთა კარის ბჟეთაო,
ორ წელ ვაგე, მიჰყავ ხელი, გავათავეთ კარის ბჟეო“.

სვიმონ შოთაძეს განუახლებია აგრეთვე სადგერის წმ. გიორ-
გის ჯვარი და ხატიც.

თავისი ძლიერებით განთქმული ყოფილა „სასწაულთ მოქმე-
დი“ და მკურნალი სადგერის წმ. გიორგი, რომელიც არჩენდა
ვითომ კეთროვანებსაც.

„აქა მოვლენ კეთროვანნი, სენი მძაფრი რაცა სკირსა
და მხიარულად წავლენ შინა, შენ განკურნებ ყოვლსა ჭირსა“.

ხატობას სადგერის ტაძართან იმართებოდა თურმე ბაზრო-
ბაც, სადაც სავაჭროდ თავს იყრიდნენ სხვადასხვა ერის წარმო-
მადგენელნი.

„ცის კიდეთამდის აქ მოვლენ, სადაც არს ხმელთ სამზღვ-
არია, და თურქთა, სპარსთა და არაბთა გამართეს აქ ბაზარია“.

მე-16 საუკ. თურქთა ბაზრობის დამყარებისას სამცხეში,
თურქების შიშით შოთაძეებს სადგერის წმ. გიორგის ჯვარი და
ხატი გადაუტანიათ ჩხარში² (იმერეთი) და იქვე დასახლებულან.
სადგერის ტაძარი დაცარიელებულა და გაპარტახებულა. მას აშ
კარად ეტყობა შემდეგი დროის შეკეთება—განახლება. იგი მტერს
შეუმუსრავს და შემდეგ ისევ აღუდგენიათ.

ამას ვა ა ბუშტი ცნობაც მოწმობს: „სადგერი არს მაგარი
და შეუვალი, ეკლესია შემუსვრილი იღაშენა და შეამკო ხატი მისი
მეუემან ვაბტანგ“ (გვ. 83—84).

ეს არის ვაბტანგ VI (1703—1724 წწ.), რომელსაც სადგე-
რის ეკლესია აღუდგენია და განუახლებია.

ტაძარს აკრავს მაღალი კლდე და ღრმა ხევი. მას მისასვლე-
ლი აქვს მხოლოდ სამხრეთით და ეს მხარე გამაგრებული ყოფილა
გალავნითა და ციხე-კოშკით. შიშიანობის დროს სოფელი ამ ციხე-
გალავანში იხილნებოდა.

¹ ი. ა ბულაძე, ქ. შარაშიძე, რუსთაველის სახელისა და სამშობლოს
საკითხისათვის, საქ. მეც. აკადემიის მომბეგ II, № 7, 1941. წ., გვ. 681—688.

² სადგერის ჯვარი 1924 წლამდე იყო ჩხარში, ასლა ინახება თბილისში
„მეტების“ ხელოვნების მუზეუმში.

გალავანი კლდის დიდი ლოდებითაა ნაგები, აქვს ერთი კუთხი ჩრდილოეთით. კარის მარჯვნივ ყოფილა დიდი, კვადრატული ფონტის კოში, დარჩენილია შისი ქვედა სართულის ნაწილს და მარსართულიანი ყოფილა და იცავდა გალავნის კარს.

სადგერის ციხე გალავანი ამჟამად წარმოადგენს ნანგრევს და ძნელია მისი პირვანდელი სახის დადგენა.

ერეკლე II-ს სადგერის ციხე გაუმაგრებია ზარბაზნებით და აქედან ებრძოდა თურქებსო.

სოფლის საზღვარზე, აღმოსავლეთით გასდევს ქვიტკირის კედლის საძირკველი. ეს სიმაგრეც ერეკლეს აუშენებია, გადმოგვცემენ. ამ ღობურის გაღმა მინდობზე დიდი ბრძოლა ყოფილა და დახოცილთა ძელები ამოღის მიწიდანო.

სადგერში არის კლდეზე მიშენებული სამალავები. ერთი მათგანი სოფლიდან დაშორებულია ერთი კილომეტრით და მოთავსებულია მდინარე შავი-წყლის ნაპირას მაღალ კედელზე, დაახლოებით 80 მეტრის სიმაღლეზე. სამალავის წინა მხარე ამოშენებულია ქვიტკირით, აქვს ორი კარი. ძნელი ასასვლელია, მტრის შემოსევის დროს ამ სამალავში იმაღლებოდნენო.

სადგერში ცოდნიათ დიდი დღეობა (ხატობა) „გიორგობა“ აპრილში და ნოემბერში. დიდძალი მლოცვები თურქე მოდიოდა ბორჯომისა და მის მეზობელ რაიონებიდან. სადგერის წმ. გიორგის მლოცველები ღამისთვეით დგებოდნენ, მოპერაციათ საწირი, ხოცავდნენ საკლავებს და ევედრებოდნენ განკურნებას ყოველგვარ სენისაგან. აქ უფრო მოჰყავდათ სულით ავადმყოფები, რომელთა მეურნალად მიაჩნდათ სადგერის წმ. გიორგი. აქვე იმართებოდა გართობა-თამაშობანი და სხვ.

თორი მდებარეობს შავიწყლის სათავესთან, სადაც მას შეერთვის პატარა ხევი — თორული.

თორში გზა მიდის ბაკურიანიდან, საიდანაც თორამდე დაახლოებით 14 კილომეტრია.

თორი იყო თორელების რეზიდენცია და შის ვახუშტი უწოდებს დაბას: „სადგერს ზეით, დასავლეთ, არს დაბა თორი, მას ზეით ციხის-ჯვარი, და ციხე მისი შავ-წყალსა ზედა, დასავლეთი-საკენ“ (გვ. 84).

თორელები, როგორც ქართლ-სამცხის სანაპირო მხარის მფლობელნი, ისხდნენ დაბა თორში, სადაც მათ ჰქონდათ ციხე-დარბაზი და გალავნით შემოსულ დუღი კოშკები. ამ დიდ ფეოდალებს საქართველოს მეფის კარზე მაღალი თანამდებობა ეკავათ, როგორც იყო ამირ-სპასალარი; თორელები — (გამრეკელი და სხ.) სა-

მხოლოდ მონღოლთა შემოსევის შემდეგ იწყება, საქართველოს ძლიერების დაცემასთან ერთად, ამ საგვარეულოს დასუსტება-დაცემაც. თორი როგორც მათი რეზიდენცია ამდროიდან კარგავს თავის მნიშვნელობას.

1595 წელს ეს მხარე თურქებმა დაიპყრეს. ცხადია თორიც თურქეთის მფლობელობაში მოექცა. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარიდან იჩკვევა, რომ თორიდან ქართველები აყრილან და გადასახლებულან. ამ დავთარში თორი მოხსენებულია პეტრეს ლივაში და დასახელებულია მე-17 სოფლად, როგორც ცარიელი (უკაცრიელი). (გვ. 329).

თორის ძევლი ნასოფლარი მაღლობზეა. მას აქვს ლამაზი მდებარეობა. იგი დღეს სათიბად არის გამოყენებული. იღმოსავ-ლეთ-სამხრეთით ჩამოუდის ხევ-თორულა, რომელიც გამოდის კოდიანის მთიდან და საკოჭაოსთან ერთვის შავ-წყალს.

თორის ნასოფლარი წარმოადგენს ნანგრევს, დარჩენილია მხოლოდ შენობათა საძირკვლები და ზოგიერთი კედლის ნაწილები. ისინი ნაგებია კლდის დიდი ლოდებით, მშრალად. სახლები დარბაზული ტიპისაა და ჰქონიათ სხვადასხვა დანიშნულების სათავსოებიც. თორის ბორცვის თავზე არსებული ნამოსახლარი სხვებისაგან განირჩევა თავისი მშენებლობის გეგმით. იგი შემოზღული ყოფილა გალავნით. ეს უნდა იყოს თორელების ციხე-დარბაზი; იგი აგებული ყოფილა მაღლობზე და შემოზღულული ქვიტკირის გალავნით. მისი სათავსოების გეგმის მიხედვით შუაში უნდა ყოფილიყო ციხე-კოშკი, გარშემო კი სხვადასხვა მოცულობისა და დანიშნულების სათავსოები და დარბაზები. გალავნის შიგნით ციხე-დარბაზის მახლობლად არის ცალკე ნაგებობის კარის ეკლესის ნანგრევი.

ამ ციხე-დარბაზის გარშემო ოთხი ნასახლარია, რომელიც დაბა თორის უბნები უნდა იყოს. აქაც გარკვევით მოჩანს შენობათა ნანგრევები და საძირკვლები, ორ უბანში კი ეკლესიაც ყოფილა.

ყველაფერი ეს იძლევა საშუალებას წარმოვიდგიოთ ამ დიდი ფეოდალების—თორელების—რეზიდენციის ზოგადი სურათი.

ციხის ჯვარი იყო თორელების სამფლობელოს მეორე ცენტრი, რომელიც თორიდან დაშორებულია 7—8 კილომეტრით. ციხისჯვარს ჩამოუდის შავი-წყალი (ბორჯომელა), მას უჭირავს საკმაოდ ვრცელი ტყითა და საძოვრებით მდიდარი ტაფობი. ჰავა

ურილი და სასიამოენოა. მთელს გუჯარეთსა და თორის ხელის/ ში ასეთი გაშლილი და ბუნებით მდიდარი ადგილი არ მოიპოვა ვება.

ციხისჯვარი თორელების უმთავრესი სიმაგრე იყო და ამი- ტომ ისინი იწოდებოდნენ ციხისჯვარელ — თორელებად. ციხის- ჯვართან ჯაშელ-თორელები არა ერთხელ შებრძოლებიან კარზე მიმდგარ მტერს. როდესაც, 1261 წ., ულუ დავითი ყაენს აუჯან- უდა და სამცხეში გაიხიზნა, ყაენმა დავითის ხელში ჩასაგდებად სამცხეში გამოგზავნა არღუნი მრავალრიცხოვანი ჯარით, რომელიც 20 დღე აოხრებდა ქვეყანას, მაგრამ ციხისჯვრის იღება ვერ შეს- ლო და ვერც დავით მეხუთე ხელში ჩაიგდო.

ამ ამბებზე ძეელი მემატიანე ასე მოგვითხრობს: „არღუნ მო- ადგა ციხის ჯვარს, და უწყო ბრძოლა ძლიერად. რამეთუ არა ზღუდითა მტერიცითა განსრულებულ იყო; ხოლო ციხესა მყოფნი ძლიერად ჰბრძოდეს და მრავალი კაცი მოკლეს და დიდად ავ- ნებდეს. და ვითარცა იხილა სიმტკიცე ციხისჯვრისა, აიყარა და ჭარვიდა“¹.

მონლოლთა ბატონობის პერიოდში იწყება ამ მხარის დასუს- ტება და დაცემა, ამას მოჲყვა თურქების მიერ სამცხისა და ციხის- ჯვარის დაპყრობაც. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავორის მი- ხედვით ციხისჯვარში მხოლოდ რამდენიმე მეკომური დარჩენილა: იორდანე ვეფხასძე, ბაინდურის შვილიშვილი, სეფედავლე, მახა- რებელი და სხვა. (გვ. 328).

შემდეგ ხანებში ესენიც აყრილან აქედან და 1828 წელს, რო- დესაც თურქეთი იძულებული შეიქნა დაეცალა ახალციხის საფაშო, ციხისჯვარში მოსახლეობა არ ყოფილა.

1861 წელს მეფის მთავრობას ციხისჯვარში დაუსახლებია ტრაპიზონის ვილაიეთიდან გადმოსული ბერძნების 25 კომლი. მა- ნამდე აქ რამდენიმე კომლი ქართველიც ყოფილა: კასიტაშვი- ლი, ბლიაძე და მიქელაძე. დღეს ციხისჯვარში 400 მეტი კომლი ბერძნია. ისინი ლაპარაკობენ დამახინჯებულ ბერძნულ კი- ლოზე, ზოგმა ქართულიც იცის.

ციხისჯვარში ბევრი ნასოფლარია, დანგრეული ტაძრებითა და ნაკოშვარი ადგილებით. ყველაზე საყურადღებოა შუა სოფელში დაცული ნაციხარი, რომელიც მდებარეობს შავიშელის გაღმა ნა- პირას. ეს არის ციხისჯვარის ძველი ციტადელი და მისი მფლო-

¹ ქართლის ცხოვრება, ბროსეს გამოცემა, 1849 წ., წ. I, გვ. 392.

ბელის რეზიდენცია. ამეამად იგი ნანგრევს წარმოადგენს და მხედლია მისი პირვანდელი სახის დადგენა.

დარჩენილია ბუნებრივი კლდის ბორცვზე ნაგები ციხე-გალავანის ქვედა ნაშილი. ციხე-გალავანშიც ყოფილა ეკლესიაც, რომელიც დაუშლიათ და ახალი ტაძრის ასაგებ მასალად გამოუყენებიათ. სხვა ნაგებობათა კვალი მთლიანად წაშლილა. ეტყობა, მოსახლეობას ძველ ნამოსახლარებიდან ქვის მასალა გაუზიდია.

ბერძნების მიერ ციხისჯვრის ეკლესიის ნანგრევზე აშენებული ახალი ეკლესიის შესასვლელი კარის მარცხნა მხარეს, ქვემო ჩატანებულია ხუცური წარწერიანი და ორნამენტირებული რუხი-ფერის ქვა. იგი ფრაგმენტულია და წარწერის მხოლოდ ბოლო სტრიქონები აქვს შერჩენილი.

ახლად აგებულ ტაძრის კარის თავზე ჩასმულია მარმარილოს ფიქალი, რომელზედაც ამოჭრილია ბერძნული წარწერა: „ეს საყდარი წმ. თეოდორე ტირონელისა, აგებულია მცხოვრებთა საკუთარი სახსარით 1873 წ., გადმოსახლებულთა ტრაპიზონის ვილაიეთიდან 1861 წელს, იმპერატორი ალექსანდრე ნიკოლოზის ძის დროს“.

1879 წელს ციხისჯვრის ნაციხარზე სამრეკლოც დაუშენებიათ, რითაც დაუმახინჯებიათ ციხისჯვრის ძველი ციხე-დარბაზი.

ციხისჯვრის ციხე-გალავანი აგებულია კლდოვან ბორცვზე, რომლის სიმაღლე დაახლოებით 40 მეტრია. ამ ბორცვზე აუშენებიათ ქვიტკირის ციხე-სიმაგრე, რომელიც უკვე დანგრეულია, დარჩენილია მისი საძირკველი, რომლის ფართობია 10×7 კვ. მ.

ციხეზე ასვლა შეიძლება ეკლესიიდან ქვის საფეხურებით. ჩრდილო-დასავლეთით ციხე შემოზღუდულია მაღალი გალავნით. აღმოსავლეთ-სამხრეთით იგი მიუღომელია.

ციხისჯვრის გარშემო ბევრი ნასოფლარია, შეიძლება ეს იყო მისი უბნები. ნასოფლარებზე შერჩენილია ეკლესიების ნანგრევები. ზოგ ნასოფლარზე გარევეულად მოჩანს სადგომების საძირკვლები. სახლები ყოფილა დარბაზული ტიპისა, კლდის ლოდებით ნაგები. ზოგან დარბაზის ფართობი უდრის 8×5 კვ. მეტრს. არის ბელელიც, რომელიც ზემოდან დახურულია გატკეპნილი მიწით და აქვს ვიწრო შესასვლელი. ბელელი შიგნიდან კლდის ქვით არის ამოგებული. ამ ნასოფლარებში საყურადღებოა აბანო, რომელიც ციხისჯვრიდან 3 კილომეტრით არის დაშორებული. ეს სახელი ამ სოფელს შერქმევია აბანოს წყალთან მდებარეობის გამო. სწორედ ამ ნასოფლარის თავზე გამოდის ეს თბილი გოგირდოვანი წყალი.

ნასოფლარ აბანოზე არის ძველი ტაძრის ნანგრევი, რომელ
საც „ამაღლებას“ უწოდებენ. იგი ნაგებია ქვიტკირით და დარბა-
ზული ტიპისაა. ტაძარს წარწერებიც ჰქონია, რომლის ერთი პა-
ტარა ფრაგმენტი იქვე დევს. წარწერა ასომთავრულია. ტაძრის
გარშემო ნამოსახლარი ადგილებია. სახლები ნაგები ყოფილა ლო-
დებით და მშრალად. ზოგი დარბაზის საძირკველი საკმაოდ ფართო
მოცულობისაა.

ციხისჯვრისა და თორის ეს ძველი ნაგებობანი და ნასოფ-
ლარები, რომლებიც მე-10—13 საუკუნეებს მიეკუთვნებიან, ნათელ
წარმოდგენას იძლევიან იმდროინდელი ქართული მოსახლეობის
კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე და თავდაცვით უნარია-
ნობაზე.

როგორც აღნიშნეთ, ძეველ თორში (ბორჯომის ხეობაში) შედიოდა აგრეთვე მტკვრის ხეობის ნაწილი, დაწყებული დვირი-დან — ტაშისკარამდე, რომელსაც ვახუშტი უწოდებს „ხეო-ბა“ -ს.

ვახუშტის დასახელებული აქვს ამ „ხეობა“-ში შემავალი სოფ-
ლებიც, რომელთაც დღემდე შერჩენიათ თავიანთი ძველი სახელე-
ბი. ესენია: 1. სარმანის შვილი, 2. ახალ-დაბა, 3. ნეძვი, 4. ქიმე-
რეთი, 5. კორტანეთი, 6. ზანავი (ნასოფლარი), 7. რვილი, 8. ყვი-
ბისი, 9. სავანის-ხევი, 10. ეშმაკთ-უბანი (ნასოფლარი), 11. ნუა
(ბორჯომი), 12. ნადაბური. 13. თორი, 14. ციხისჯვარი, 15 ვარ-
დის სოფელი (ნასოფლარი), 16. ფაფა, 17. ლიკანი, 18. ყვერბილი,
19. ჭობისხევი.

მტკვრის ხეობის ამ ნაწილს ვახუშტი ასე ახასიათებს: „არსესე მტკვრის ხეობა ვენახიანი, ხილიანი, ვიწრო და მწირი, მაგარი და შეუვალი მტრისაგან“-ო. (გვ. 84).

მტკვრის ხეობის ამ მხარეში საყურადღებო ძეგლები და ნა-
სოფლარებია შემონახული, რომლებიც განადგურდნენ თურქეთის
ბატონობის პერიოდში. მათ შორის აღსანიშნავია ტაძრისი,
მას ჩამოუდის საკირეს წყალი, რომელიც მტკვარს შეერთვის სოფ-
ტვირთან.

ეს სოფელი ძველია და ცნობილია თავისი ძეგლი მონასტრით, რომელიც სოფლიდან დაშორებულია ორი კილომეტრით. მონასტრებს უწოდებენ „ღვთისმშობელს“, მას ჩამოუდის გურჯის-ხევის წყალი. ტაძრის მონასტრები ამჟამად წარმოადგენს ნანგრევს. მონასტრის ტაძარი ნაგებია ქვიტკირით, მისი კედლები მოპირკე-

თებულია უხეშად გათლილი ქვაფიქალით. ტაძარი სამ ნაციონალურ საკმაოდ მაღალია და ვრცელი. ჩუქურთმები და წარწერები მიუღია აქეს. იგი გადახურულია ქვაფიქალით. იქვეა ძველი ნამოსახლარიც-დარბაზები ნაგებია ლოდებით და სტროებს ციკლოპურ ნაგებობათა შთაბეჭდილების. ზოგს კედლებიც შერჩენია თავისი კარითა და თახებით. ბევრია ჩაქცეული ხაროები და სხვა სათავსოები. ეტყობა სახლები ბანიანი და დარბაზული ტიპისა ყოფილა. იქვეა ლოდებით დახურული ძველი საფლავებიც.

ტაძრისის ეს მონასტერი მიეკუთვნება მე-9—10 საუკ. იგი მოხსენებულია „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში“, რომლის მიხედვით ტაძრისი ყოფილა დედათა მონასტერი და აქ გიორგი მთაწმინდელის მშობლებს თავიანთი პირველი შვილი 7 წლის ოეკლა შეუწირავთ: „და წარიყვანეს იგი სამცხეს მონასტერსა სადედოსა, რომელსაც ტაძრისი ეწოდების“¹.

პირმშო ვაჟი გიორგიც შეუწირავთ, როდესაც იგიც 7 წლისა გამხდარა, გაუგზავნიათ ტაძრისში: „რამეთუ ვითარცა იქმნა იგი შვილისა წლისა მონასტერსა ტაძრისს დისა თვისსა თანა წარგზავნეს-ო. (იქვე, გვ. 441).


გიორგი აქ ყოფილა სამი წელიწადი. ათი წლისა რომ გამხდარა იგი წაუყვანიათ ხახულის მონასტერში: „ვითარცა დაპყო მონასტერსა მას შინა სამი წელი და იქმნა ჰასაკითა ათისა წლისა წარგზავნეს ხახულად“ (იქვე, გვ. 141—142).

ამრიგად, გიორგი მთაწმინდელის ყრმობისას მე-10 საუკ. დასასრულს ტაძრისი უკვე დედათა მონასტერი ყოფილა. მისი დაარსება კი სავარაუდებელია ამაზე უფრო ადრეც, დაახლოებით მე-9—10 საუკუნეში.

ეკლესიის ჩრდილოეთით, გურჯისხევის გალმა, მაღალ კლდეზე მიშენებულია სამალავი, რომლის სიმაღლე ხევიდან 30 მეტრი იქნება. სამალავის წინა მხარე ამოშენებულია კლდის ქვით. აქვს ერთი კარი და ორი სარკმელი. სამალავი კარგად არის შენახული.

ამ მონასტრისა და სოფ. ტაძრისს შუა, გურჯის-წყლის გალმა, არის დიდი ციხე და ძეველი ტაძრის ნანგრევი, რომელსაც უწოდებენ „გურჯის-ხევის წმ. გიორგის“. ეს საკმაოდ დიდი მოცულობის ტაძარია, კლდის დიდი ქვებით და დუღაბით ნაგები. ტაძარი ორნავიანია და შიგ შელესილიც ყოფილა. ეკლესია

¹ „ცხოვრება ნეტარისა მამისა გიორგი მთაწმინდელისა“ იხ. მ. საბინინი, „საქართველოს სამოთხე“, 1882 წ., გვ. 440.



სურ. 5. გურჯის ციხე.

ქვით ყოფილი დახურული, კარის თავზე დატანებული აქვს უზარ-მაზარი ლოდები.

ტაძართან არის ნასახლარიც, დარბაზები, რომელიც ამჟამად ჩატარებულია, ნაგებია ლოდებით. უკველია, ეს ტაძარი და ნასოფ-ლარი იმავე მე-9—10 საუკუნეს მიეკუთვნება.

ამ ნასოფლარის ზემოთ, მაღალ გორაკზე დიდი ციხეა, რო-მელსაც ახლა „გურჯის ციხეს“ უწოდებენ.

ციხეს საკმაოდ დიდი ფართობი უჭირავს, დაახლოებით ნა-
ხევარი ჰქონდა.

ციხე ნაგებია კლდის კუბიკური სახის ქვით და დუღაბით,
სათოფურები და ჩარდახები არა აქვს. თავისი გეგმითა და ნა-
გებობის ტექნიკით ციხე ძველია, უნდა მიეკუთვნოს მე-8—9 საუკ.

მისი კედლები მაღალია და მტკიცედ ნაგებიც, მისგან დარ-
ჩენილია ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედელი, სხვა მხარეები
ნაწილობრივად დაშლილია. ციხეში ყოფილა სამი დიდი დარბაზი,
მასვე აქვს მიშენებული პატარა ეკლესია „წმ. გიორგი“. ეს ეკლესია
ნაგებია ქვიტკირით და გარედან მოპირკეთებულია მოწითალი
ქვით.

ციხისა და ეკლესიის ეზო შემოზღუდულია მაღალი გალა-
ვანით. ეკლესიის სამხრეთ კედელში ჩაშენებულია ვიწრო და ღრმა
ხარო.

ციხეს შემოსასვლელი კარი აქვს სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრი-
დან, რომელიც ეზოში შემოდის და აქედან შეიძლება შესვლა ეკ-
ლესიაში და ციხის დარბაზებში.

ამ ციხესთან ერთდება ორი წყალი: გურჯისხევისა და ხრა-
მისხევის. გურჯისხევიდან გზა გადადის ასპინძაში, ხრამისხევიდან
კი ახალქალაქისაკენ. ციხესთან შეერთების შემდეგ ამ ხევს ეწო-
დება საკირის წყალი, რომელიც ჩაუდის სოფ. ტაძრისსა და
სოფ. საკირეს და შეერთვის მტკვარს დვირის ხიდთან.

ამბობენ, ქართველებს დიდი ბრძოლა ჰქონიათ თათრებთან
ამ მონასტერს ახლო, სადაც თათრები ამოუწყვეტიათ, ამის შემ-
დეგ თათრებმა მონასტრის ხევს გურჯისხევი დაარქვესო.

ტაძრისი დიდი სოფელი ყოფილია. იგი შედგებოდა რამდენიმე
უბნისაგან. თითოეულ უბანში ერთი გვარისანი ცხოვრობდნენ,
ჰქონიათ თავიანთი პატარა ეკლესიაც. იმას მოწმობს ტაძრისის გარ-
შემო არსებული ნასოფლარები, ჩატეული დარბაზებით და პატა-
რა ეკლესიებით. აქვე იყო შესანიშნავი დედათა მონასტერი და
დიდი ციხე-სიმაგრე. თურქების ბატონობის პერიოდში ტაძრისი
გაპარტახებულა და იგი ნანგრევად ქციულა.

გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით მე-16
საუკუნეში ტაძრისში ყოფილა რამდენიმე კომლი: მახარებე-
ლი, გარსიმასძე, ბასილ ივანესძე და მარინ დო შავ-
ჩოხასძე.

1828 წლიდან, თურქების აქედან განდენვის შემდეგ, უკაც-
რიელი ტაძრისი სახაზინოდ გადარიცხულა. ტაძრისის მოშენება-



დასახლება დაწყებულა 1860-იან წლებიდან. უმრავლესი მათგანი გადმოსულები არიან ბრეთიდან და ცხინვალის მხრიდან. თავდაცვისა

კვირიკეთი და ნეძვი. ორივე ნასოფლარში დარჩენილია ძველი მონასტრის ნანგრევი. კვირიკე-წმინდა და ნეძვი.

ნეძვი ახალდაბიდან დაშორებულია 10 კილომეტრით. იგი მდებარეობს მდინარე ნეძურას ხეობაში, რომელიც მტკვარს შეერთვის ახალდაბასთან.

საკვირიკე კი მდებარეობს ქვაბისხევის გაღმა, მტკვრის მარჯვენა ნაპირას, ჩითახევის ელსადგურის საგუბართან.

ნეძვისა და საკვირიკეს მონასტერი დაარსებულია 840 წლის ახლო ხანებში. გრიგოლ ხანძთელის ნებართვით ხანძთიდან თორის მხარეში გადმოსულა მისი ორი მოწაფე ქრისტეფორე და თევდორე და აქ დაუარსებიათ მონასტრები: თევდორეს—ნეძვის სავანე, ქრისტეფორეს კი—კვირიკე წმინდის სავანე¹.

ორივე ამ მონასტრის ნანგრევი დღესაც არსებობს.

ნეძვის მონასტერი საქმაოდ დიდი ნაგებობაა, მხოლოდ ძლიერ დანგრეულია. მონასტრის მთავარი ტაძარი ვრცელია და ქვიტკირით არის ნაგები, მისი კედლები შიგ და გარედ მოპირკეთებულია ქვაფიქალით.

მონასტრის აღმოსავლეთსა და სამხრეთის მხარეზე დარბაზული ტიპის სხვადასხვა მოცულობის სათავსოებია. არის აგრეთვე ხაროებიც. ეტყობა ეს ჩაქცეული სათავსოები ბერების საცხოვრებელი ბინები ყოფილა.

ნეძვი ქეთილმოწყობილი მონასტერი ჩანს, რასაც მოწმობს გორგი მთაწმინდელის ბიოგრაფიის ცნობა. იგი ყოფილა მშვენიერი და დიდებული ლავრა, რომელიც ბაგრატ IV-ს საცხოვრებლად გადაუცია საქართველოში ჩამოსულ გიორგი მთაწმინდელისათვის 1060 წელს.

ამის შესახებ გიორგი ხუცეს-მონაზონი მოგვითხრობს: „მისცა (იგულისხება ბაგრატ IV)¹ ადგილი მშვენიერნი ლავრანი, დიდებული განსასუენებლად და საყოფელად მისდა პირუელად ნეძვ ქართლსა შინა და შემდგომად ლავრა კლარჯეთისა შინა“-ო².

¹ გიორგი მერჩულე—„ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“, თბილისი, 1949 წ., გვ. 76—77.

² მ. საბინინი, იქვე. გვ. 466; ივ. ჭავაში შვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 498, 1914 წ.

ამგვარად, ათონის ლავრიდან ჩამოსულ გიორგი შოთაშინ-დელს 1060 წელს უცხოვრია კეთილმოწყობილ ნეძვის მშენებელთა ში. თურქების ბატონობის პერიოდში სოფ. ნეძვი გაერანებულა და მოსახლეობა აყრილა. გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარ-ში ნეძვი მოხსენებულია, როგორც ცარიელი (გვ. 330).

მეორე, ამავე დროის მონასტერი კვირიკე-შმინდა, რომელსაც დღეს საკვირიკეს უწოდებენ, გიორგი მერჩულეს თხზულებაში მოხსენებულია ორნაირად: კვირიკეთი და კვირიკე-შმინდა (გვ. 19, 76—78).

ეს მეორე საეპი შედარებით უკეთესად არის შემონახული. ნასოფლარი საკვირიკე მტკვრის მარჯვენა მხარეზე მდებარეობს, სოფ. ქვაბისხევის პირდაპირ. აღვილი წარმოადგენს გორაქს და ტყით არის დაფარული. კვირიკეთის ტაძარი სამნავიანია, შუა ნაგი გვერდებისაგან გამოყოფილია თალიანი სვეტებით. ტაძარი ნაგებია კლდის ქვით, შიგ და გარეთ მოპირკეთებულია თლილი ქვით. ტაძარი შელესილია და მთლიანიდ მოხატული, ახლა ალაგ-ალაგ შერჩენია მხატვრობა. ტაძარი დანგრეულია, დარჩენილია მხოლოდ კედელები.

მხატვრობა შედარებით კარგად არის შერჩენილი საკურთხევლის ჩრდილო კედელზე. მოხატულობა სამ იარუსიანია: ზემო იარუსზე გამოსახულია ფრთებ შეკრული ანგელოზი, რომლის უკან ხარის თავია გამოსახული. ანგელოზს უჭირავს „ლაბარიუმი“, რომელზედაც აწერია ბერძნულად: „აგიოს, ფილოს, აგიოს“.

ანგელოზის ქვეშ მოჩანს რამდენიმე ასომთავრული ასო. ლაბარიუმთან არის მჯდომარე ფიგურის მოკეცილი მარჯვენა ფეხი, ტახტისა და მუთაქის თავი (უნდა იყოს მჯდომარე მაცხოვარი).

ქვეშ გამოსახულია წმინდანები ხელში გრავნილებით, თავთან ასომთავრული წარწერით: წმ. ნიკოლოზ, წმ. გრიგოლ ლვითისმეტყველი და სხვა.

მესამე იარუსზე არიან მღვდელმთავრები, ხელში სახარებითა და ჯვრებით, თავთან ასომთავრული წარწერით: წმ. ფოქა, წმ. გრიგოლ ნოსელი და სხვა. მხატვრობა კარგადაა შესრულებული, უნდა იყოს მე-10—11 საუკუნის.

აქვევ ნამოსახლარი, სახლები დარბაზულია და დიდი ლოდებით მშრალად ნაგები. ზოგს შერჩენია კედლებიც. დარბაზები სხვადასხვა მოცულობისაა, ზოგის ფართობი უდრის 10×5 კვ-მეტრს.

ეს ნასოფლარი, საკვირიკე ანუ კვირიკეშმინდა, მოხსენებულია გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში, როგორც შემდეგ კვირიკეშმინდა (იხ. დავთარი, გვ. 98). ამ დავთრის მიხედვით იგი მდებარეობს აწყურის რაიონის ახალციხის ლივაში და აქ იგი სიის მიხედვით აღნიშულია მე-7 სოფლად. მის შემდეგ მე-11 ადგილას სოფ. დეირია მოხსენებული, მე-13 ადგილას კი სოფ. ტაძრისი. სწორედ ამ ტაძრისისა და დეირის მიღამოშია დღესაც საკვირიკეს ნასოფლარი და მისი მონასტრის ნაგრეფი¹.

გურჯისტანის ვილაიეთის დავთარის შედგენისას კვირიკეშმინდაში ჯერ კიდევ ყოფილა დარჩენილი რამდენიმე კომლი ქართული მოსახლეობისა. მოხსენებულია სახელებიც: მახარებელი ივანეს ძე, გიორგი მახარას ძე, ჯიმშერა ძე მისი, დემეტრე ვარძელის ძე (გვ. 93).

საკვირიკეს მახლობლად, ჩრდილოეთის მხარეზე არის დანგრეული ციხე-გალავანი. იგი ნაგებია კლდის ქვით და დუღაბით. დარჩენილია მისი წინა კოშკის ფასადი და უკანა გალავნის კედელი.

ეს ციხე-გალავანი ყარაულობდა იქვე მტკვარზე აგებულ ხიდს, რომლის სათავის ბურჯი ახლაც კარგად მოჩანს. ხიდი ნაგები ყოფილა რუხი ფერის კლდის ქვებით. ამ ხიდით მტკვარზე გადადიოდნენ საკვირიკეში და ეს ციხე-კოშკი იცავდა ხიდსა და სოფელსაც.

აქ ცოდნიათ დღეობა „კვირიკობა“, ზაფხულში იცლისის თვეში და სალოცავად მოდიოდნენ ბორჯომის ხეობის სხვადასხვა სოფლებიდან.

საკვირიკეში დღეს მოსახლეობა არ არის, კოლმეურნეობის გამსხვილების მიზნით რამდენიმე აქაური მეკომური მეზობელ სოფელში გადასულა.

ქვაბის ხევი მდებარეობს მტკვრის მარცხნა მხარეზე. მას ჩამოუდის მდინარე ქვაბისხეულა, რომელსაც სათავე აქვს ლომის მთის ძირას. ეს ხეობა ვიწროა და კლდოვანი. აქ არის ძელი მონასტერი, რომელსაც უწოდებენ „ლვთისმშობელს“. მონასტერი აგებულია მაღალი კლდის ფერდობზე, კლდის ლოდებისაგან. იგი

¹ პავლე ინგოროვაც ამავე ადგილას ვარაუდობს კვირიკეთის სავანეს არსებობას (იხ. მისი, გიორგი მერჩულე, უურნ. „მნათობი“, 1950 წ., № 8, გვ. 145). მხოლოდ თავის დასკვნაში იგი ამბობს: „რაც შეეხება კვირიკეთს (კვირიკეშმინდას), ამ პანქტის თვით სახელწოდებაც გამქრალია და ადგილმდებარეობა ამ სავანისა დღემდე დადგენილი არაა“-ო. (იქვე, გვ. 149). როგორც ვწერ, დავთ, ასეთი დასკვნა მცდარია.

სამნავიანია. გვერდის ნავები ლიაა და აქვს თაღიანი სკოტერი/თავისი გეგმითა და ნაგებობის ტექნიკით ქვაბისხევის მონშტატერი/წაგავს კვირიკეწმინდას და აშენებული უნდა იყოს იმავე მე-8—9 საუკ.

კარი აქვს დასავლეთით, თავზე ამოჭრილია ჯვრები. ეკლესია შელესილი ყოფილა და მოხატულიც. ტაძარი გადახურულია ქვა-ფიქალით. მხატვრობა შემონახულა სამხრეთის ნავის ერთ ოთახში, რომელსაც აქვს შესასვლელი კარი და ერთი სარკმელიც. ეს ოთახი მოხატულია (იგი შეიძლება იყოს აკლდამა). მოხატული ოთახის ფართობი უდრის $2 \times 2,50$ კვ. მეტრს; ტაძრის ფართობი კი 8×4 კვ. მეტრს.

ამ ოთახის კარის თავზე გამოხატულია ხელაპყრობილი ფიგურა, მოსჩანს მისი მარჯვენა ხელის მტევანი და ზარავანდედის ნაწილი ქარაგმიანი ასომთავრული წარწერით „წინ“.

ოთახის კედლის მხატვრობა, შედარებით, კარგად შემონახულია, მხოლოდ მხატვრობა სხვადასხვა დროისაა. ზემო იარუსის მხატვრობა უფრო ძველია და კარგადაც არის შესრულებული. ზემო იარუსის წმინდანები გამოსახულნი არიან ჩვეულებრივი მანერითა და პოზებით, მათ შორის სამი წმინდანის წელქვემოდ. შემდეგში ზედ დაუხატიათ ორი ფიგურა საერო ტანსაცმელში და გამოყოფილია კუთხედი ჩარჩოთი. წინ მთელი ტანით დგას მანლილოსანი, უკან მამაკაცი, ორივეს ხელები აქვს აპყრობილი (კედრების პოზაში) და თავთან აქვს ასომთავრული წარწერა: მამაკაცსა „შოთა:..“ ქალის კი ძნელად გასარჩევია: „ია—მრ“.

ეს მხატვრობა აშკარად განსხვავდება ძველი კედლის მხატვრობისაგან. ეტყობა კედლის მხატვრობა შემდეგში განუიხლებიათ და ამ განმაახლებელის მამაკაცისა და ქალის სურათიც ქვემოთ მოუთავსებიათ, რაც გარკვევით ეტყობა ფერწერის მანერას, საღებავების ტონალობასა და შეხამებას.

ქვაბისხევის მონასტრის ქვემოთ ძველი ნასოფლარია. სახლების საძირკელები კარგად მოჩანს, სახლები დარბაზული ტიპისაა, დიდი ლოდებით ნაგები. აქვე მაღალ კლდეში გამართულია სამალავები, მათ შორის შერჩენია წინა მხრიდან ამოშენებული კედლი, დანარჩენს ჩამონგრევია. სამალავს აქვს პატარა კარი და სარკმელი.

ქვაბისხევიც თურქთა ბატონობის ხანაში გავრანებულა, მონასტერი გაუქმებულა და მოსახლეობაც გადახიზნულა.

გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარის აღწერაში ეს სოფელი. შეტანილია აშკარის რაიონის ახალციხის ლიკაში სოფ.

ქვაბის სახელწოდებით. აქ მაშინ ცხოვრებულა მხოლოდ ჰქონდა
მოსახლე: ფოცხვერაძე, სახელად გრიგოლ, დემეტრი,
მამუკა, ელია კვირიკასძე სალუყაზანის შვილი და მისი შვილი გიორგი

ლი (გვ. 109).

ლექს ქვაბისხევი საკმაოდ მოზრდილი სოფელია. აქაური
ქართველების უმრავლესობა გადმოსულია რაჭიდან. მოხუცების
გადმოცემით უწინ აქ მოსახლეობა არ ყოფილა და XIX საუკ.
70-იანი წლებიდან მოშენებულა. ამას მოშენობს აქაური საფლავის
ქვების წარწერების ქართული თარიღებიც „ჩყედ“ (1894 წ.),
„ჩყე“ (1890 წ.).

სლესის ციხე. ქვაბისხევის ზემოთ ჩრდილო-დასავლეთით
მტკვარს მოერთვის სლესის ხევი. აქ ბორჯომ-ახალციხის გზაზე,
ერთს გორაკზე დგას დაშლილი ციხე, რომელსაც უწოდებენ სლე-
სის ციხეს. ციხე ნაგებია ქვიტკირით, მისი გალავანი დაშლილია,
დაცულია მხოლოდ ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარე, რომე-
ლიც ამაყად გადასცერის მტკვრის ხეობას.

აქვეა ძველი ნასოფლარიც. სოფელი სლესა მოხსენებულია
გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში და აქ იმ დროს (მე-16
საუკ.) რამდენიმე კომლი სახლებულია: ელიზარ აბესალო-
ნისძე, დათუნა იორდანისძე, ბეჟანა და სხვა (იხ. გვ.
107—108).

ვახუშტის გეოგრაფიაში ჩამოთვლილ სოფლებს შორის
სლესა არ არის მოხსენებული, მხოლოდ რუკაზე არის აღნიშნული,
როგორც სოფელი.

შესაძლებელია სლესის ეს ციხე და ნასოფლარი სლესა ეკუთვ-
ნოდა „სლესართა“ გვარს, რომელიც მოხსენებულია სამცხე-საათა-
ბაგოს კათალიკოსის სამწყსოს თავადებში: „ბუმბულისძენი მა-
თითა სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა ავალი-
შეილთა და სლესართა აქვს“¹.

მწვანე მონასტერი² მდებარეობს ჩითახევის წყალზე,
რომელიც უერთდება მტკვარს. მონასტრის მიდამო ვაკეა და და-
ფარულია ტყით. ეკლესია დიდია და ერთნავიანი. აქვს მაღალი
ერთქანობიანი სახურავი. ჩრდილოეთით მიშენებული აქვს
გრძელი, დახურული და ორ ოთახად გაყოფილი დერე-

¹ Д. Бакрадзе, Археол. путешествие по Гурии и Адчаре, СПБ. 1878 г. გვ. 79., ს. კაკაბაძე, კვლევა-ძიებანი, გვ. 7.

² მწვანე მონასტერს უწოდებენ მის გარშემო მდებარე წიწვიანი ტყის
გამო, რომლითაც იგი დაფარულია.

ფანი. ტაძრის ნაგებია ქვიტკირით. ტაძრის ფართობი 15x6 მეტრია.

ეკლესია შიგნით შელესილია და მოხატულიც ყოფილია, აქვე იქ მოჩანს მოხატულობის ფრაგმენტები. სამხრეთის მხრივ მინაშენს აქვს ერთი კარი, საიდანაც ქვის კიბე ჩადის სარდაფში, რომელიც უნდა იყოს საძვალე. ეკლესია ძველია, იგი უნდა იყოს ტაძრისის მონასტრის დროის ნაგებობა. გეგმითა და მშენებლობის ტექნიკით ორივენი ერთმანეთს ემსგავსებიან და შეიძლება დათარიღდეს მე-9—10 საუკ.

ეკლესიის სამხრეთით დგას ქვიტკირის სამრეკლო. მისი ქვედა სართული ბნელია, აქვს ერთი კარი და ერთი სარკმელი. მასზე დაუშენებიათ ქვისაგან ნაგები სამრეკლო. მას აქვს სიმეტრიული და ლამაზად ნაგები ცხრა თალიანი სვეტი; იგი სწორბანიანია და ქვით დახურული. სვეტები და ლავგარდანი შემკულია მცენარის ორნამენტებით. დასავლეთით აქვს ასასვლელი ქვის კიბე. სამრეკლო მრგვალია, მისი დიამეტრი უდრის 4,80 მ.; სიმაღლე აღწევს 6 მეტრს. სამრეკლოს ნაწილები მოტანილია გამზადებულად და ჭედ დადგმული. თავისი მასალით და დამუშავების ტექნიკით იგი განსხვავდება სამრეკლოს ქვედა სართულისაგან და თვით ტაძრის ნაგებობისაგანაც. სამრეკლო გვიანი დროისაა, მე-15—16 საუკუნისა. იგი თურქების ბატონობის დამყარებამდე უნდა ყოფილიყო აგებული.

ეკლესიის გარშემო ნასახლარებია, მათი დარბაზები ჩაქცეულია, კედლები ნაგები ყოფილა კლდის დიდი ლოდებით. მონასტერს გალავანიც ჰქონია შემოვლებული.

ეამთა სიაგისა გამო ამ საყურადღებო ძეგლისა და ნასოფლარის სახელიც გამქრალია. დღეს ჩვენ არ ვიცით მისი ძველი სახელწოდება და არც ისტორიული თავგადასავალი.

ლიკანი მდებარეობს ლიკანის ხევში, რომელიც იქვე შეერთვის მტკვარს. ლიკანი და მისი ხევი ვახუშტი ბაგრატიონს თავისი გეოგრაფიულ აღწერაში შეცდომით ორჯერ აქვს მოხსენებული და რუკაზედაც აღნიშნული—ერთ ადგილს იქ, სადაც დღესაც არის სინამდვილეში (გვ. 84); მეორე ადგილს ლიკანის ხევი და ლიკანი მას ნაჩვენები აქვს ახალციხესთან და ამბობს: „ამ ახალციხეს უდის წყალი თვისი სამხრით, და დასავლეთით ლიკანისხვი, რომელიც გამოდის ფერსათს და მიდის სამხრეთად“ (იქვე, გვ. 125).

ახალციხესთან ასეთი ლიკანის ხევი და ლიკანი სინამდვილეში არ არსებობს. გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში

ლიკანი მართებულად დასახელებულია იქ, სადაც იგი დღესაც აოს /
(გვ. 327).

ლიკანი ძეელი ნასოფლარია. სოფელი ლიკანი მონასტრის
მახლობლად ყოფილა. მონასტერი სოფლის თავზეა და მას ჩამოუ-
დის ლიკანის ხევის ჭყალი. მონასტერი დაფარულია ნეკურჩხლის
ტყით. ლიკანის მონასტრის ტაძარი ნაგებია კვადრატული კლდის
ქვებით და დუღაბით. შიგ შელესილი ყოფილა. მხატვრობა არ
ეტყობა. გეგმით ტაძარი ერთნავიანია, საკმაოდ ვრცელი და მა-
ლალი. მისი კერი ჩაქცეულია, კედლის ნაწილი დაშლილია. ეკლე-
სიას დასავლეთის მხარეზე მიშენებული აქვს სამრეკლო, საიდანაც
კარი შედის ჯერ დახურულ დერეფანში (სტოა), შემდეგ შიგ ტა-
ძარში, რომლის კედლები შეკრულია თაღიანი სალტებით.

ეკლესიას ჩრდილოეთით აქვს კარი, რომელიც შედის ამ მხა-
რეზე მიშენებულ გრძელ სათავსოში. იგი გაყოფილია ორ ოთა-
ხად. პირველ ოთახიდან მეორეში აქვს გასასვლელი კარი. ლიკა-
ნის ეს ტაძარი თავისი გეგმითა და ნაგებობით ტაძრისის და მწვა-
ნე მონასტრის მსგავსია და უნდა მიეკუთვნოს მე-9—10 საუკუ-
ნებს.

რაც შეეხება ლიკანის სამრეკლოს, იგი უფრო გვიანდელი
დროის ნაგებობაა. სამრეკლო გუმბათისებური მრგვალი ფორმისაა,
ნაგებია ლამაზად გათლილი ქვებით, გარშემო შემკულია სადა,
გეომეტრიული არშიით. სამრეკლო დაზიანებულია, მისი დიდი ნა-
წილი ჩამონგრეულია და დაშლილი. სამრეკლოზე მიშენებულია
ასასვლელი ქვის კიბე. დასავლეთის მხარეზე, სამრეკლოს შესა-
სვლელი მარჯვენა მხარეს კედლზე ამოჭრილია ასომთავრული
წარწერა:

1. ქ: იპრიანა: ლიკანისა: ლვთისმშ
2. ობელმან: და: ალვაშენე: სამრეკლო ესე: მე.
3. ქრისტე შეიიწყალე-დ: ¹ ავალის: შვილმა
და: თანა: მეცხედრე
4. მან მეფეთა: მეფისა: ასულმა: თამარ: მათ-
თა: მშობე
5. ლთა.

ბოლო სტრიქონის ასოები მკრთალია და ძნელი წასაკითხია.
როგორც ეს წარწერა მოგვითხრობს, სამრეკლო აუშენებია ავა-

¹ წარწერაში მშენებლის სახელი დაქარაგმებულია ორი ასოთი. პირველი
ასო გაურკვეველია, უფრო წააგავს „კ“. მეორე კი „დ“. ზოგიერთს ეს სახელი
წაკითხული აქვს — ქიშვარდად (ქიშვარდ ავალიშვილი). (ქ. მელითაურ ი,
6. შოშიაშვილი და სხვა „ვარძია“, თბ., 1955 წ., გვ. 15).

ლიშვილს, მხოლოდ მას ქორონიკონი არ უჩანს და ამიტომ უნდა მშენებლობის ღანსაზღვრა.

როგორც ცნობილია, ამ ხეობის მფლობელნი იყვნენ მშენებლობის ტონე ავალიშვილები და ლიკანის მონასტერიც მათ ეკუთვნოდა. თავისა და თავისი მეუღლის სულის საცხონებლად ავალიშვილ ლიკანის ლვითისმშობლისათვის აუგია ეს სამრეკლო.

ლიკანის სამრეკლო ფორმითა და ნაგებობის მიხედვით წა- აგავს მშვანე მონასტერის სამრეკლოს და აშენებულიც უნდა იყოს იმავე პერიოდში, მე-15—16 საუკუნეებში, ამ მხარეში თურქების ბატონობის დამყარებამდე.

ეკლესიის ჩრდილოეთით არის მიწისქვეშა ორი გრძელი ნა- გებობა, ერთი ჩანგრეულია, მეორე კი მთელია. იგი კლდის ქვითაა ნაგები დუღაბით. მთლიანის სიგრძე უდრის 12 მეტრს, განი—4 მ, ეს სათავსოები დაყოფილია ოთახებად და აქვს ერთი შესასვლელი პატარა კარი. ამას გარდა ტაძრის სამხრეთ-დასაულეთით ნამოსახ- ლარია, სადაც ბევრი ჩაქუცული დარბაზებია. ისინი სხვადასხვა ზომისაა და ნაგები დიდი ლოდებით.

ლიკანის მონასტრის ზემო ტყეში, სადაც წყალსადენის აუ- ზია, ე. წ. „კოშკის ღელეში“ არის ნასოფლარი. სახლები, რომელიც ესლა ჩაქუცულია, ყოფილა დარბაზული ტიპისა, ნა- შენი ლოდებით მშრალად. მათ შორის კარგადაა შენახული მხო- ლოდ ორი დარბაზი, რომელსაც მთლიანად შერჩენია გვირგვინი (გუმბათი).

ამ ხეობაში ასეთი გვირგვინიანი დარბაზი მეტი არ შემონა- ხულა და ამიტომ ორივე დარბაზი უნდა ჩაითვალოს მატერიალური კულტურის ფრიად საყურადღებო ძეგლად. დარბაზი ნაგებია მშრალად. მისი საძირკველი ნაგებია დიდი ლოდებით, ზემო თა- ღებში კი თანდათანობით მომცრო ქვებით. გვირგვინის წრის სი- მეტრია დაცულია, ჭერში გამოჭრილია ერდო, საიდანაც დარბაზში შუქი შემოდიოდა.

დარბაზის ფართობი $4,30 \times 3,90$ კვ. მ.; სიმაღლე — 5 მ. აქვს ერთი კარი. ეტყობა ორივე დარბაზს ერთი ეზო ჰქონია, რომელიც შემოზღუდული ყოფილა ქვიტკირის გალავნით. გალავანს ჰქონია ერთი შემოსასვლელი კარი. ერთი სიტყვით, კოშკის-ღელის დარ- ბაზის შესწავლა იძლევა ნათელ წარმოდგენას, საშუალო საუკუ- ნის აქაური მოსახლეობის დარბაზული ტიპის საცხოვრებელ ბი- ნებზე.

ლიკანის მონასტერი და მისი ნასოფლარები მოწმობენ, რომ საშუალო საუკუნეებში აქ ყოფილა მჭიდრო და საქმაოდ შეძლე-

ბული” მოსახლეობა. იგი აოხრებულა თურქების ბატონობრი გვე-
რიოდშიც და მოსახლეობაც აქედან გახიზნულა. გურჯისტანის კი-
ლაიეთის დიდ დავთარში ლიკანი მოხსენებულია, როგორიცაა მო-
რიელი (გვ. 327).

პეტრეს ციხე აგებულია კლდოვან მაღალ ბორცვზე და
გადასცერის მტკვრის ხეობას. მტკვარი მას უვლის დასავლეთით,
აღმოსავლეთ-სამხრეთით კი მას ჩამოუდის ღრმა ხევი — პეტრეს
ციხის წყალი. ციხე ძნელი მისადგომია, ერთადერთი მისასვლელი
გზა ჰქონია ჩრდილოეთით, შემოზღუდული ყოფილა მაღალი გა-
ლავნით, რომლის ნაწილი დაშლილია. ციხე ნაგებია კლდისქვით და
დუღაბით. დარჩენილია მისი აღმოსავლეთის კედელი, რომელსაც
დატანებული აქვს სათოფურები და სამი ჩარდახი.

შიგ ციხეში არის ხორბლისა და სურსათის შესანახი რამდე-
ნიშე ხარო. ციხის ეზოში, შიგ გალავანში, ჩაფლულია ქვევრები
(წყლისათვის). ციხე ძველია და კარგად არის ნაგები, მისი ფარ-
თობი ნახევარ ჰქეტარს უდრის.

პეტრეს ციხეს ჰქონდა ერთი შესასვლელი. მტერი მხოლოდ
აქედან უნდა შესულიყო ციხის გალავანში, სადაც იყო ქვიტკირის
ორი ლობური, რომლის გადალახევის შემდეგ იგი მიაღვებოდა კლდის
წვერზე ნაგებ ციხეს. იქ შესვლა შეიძლებოდა ჩრდილოეთიდან. აქ
ციხეს ჰქონდა მაღალი კედელი სათოფურებითა და ჩარდახებით
გამართული. შიგ ციხეში იყო საცხოვრებელი დარბაზები, ხაროები
და წყალსაცავები.

ამ ციხის აგებას მიაწერენ პეტრე ავალიშვილს, რომლის ძმას
გოგიას აუგია მეორე ციხე — „გოგიას ციხედ“ წოდებული (ბორ-
ჯომშია)¹.

პეტრეს ციხე ძველია, იგი გადაკეთებული უნდა იქნა მე-16
საუკუნეში და ოოფ-ზარბაზნების შემოლებასთან დაკავშირებით მის
კედლებზე გაუმართავთ სათოფურები.

პეტრეს ციხეს ეკავა მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილი.
აწყურილან მომავალ მტერს, მტკვრის მოსახვევში იგი გზას უკი-
ტავდა ბორჯომისაკენ. თუ მტერი ამ ციხის კარს გაარღვევდა,

¹ სალხურ თქმულებით, ძმები ერთმანეთს მტრობდონ თურმე. ერთხელ
ძმებმა გადაწყვიტეს შერიგება და მოაწყეს ნაღიმი. ნადიმშე დიდად მოილ-
ხინეს და ყველას ევონა, რომ მათ ქიშპობას ღოლო მოეღვინდა. შერიგები-
სას ძმები თურმე ერთმანეთს გადაეცვინენ, ამ ღროს ერთ მათგანს წამოცდენია
ცუდი სიტყვა. ამასე ორივეს ნაწევალი უძვრია და ერთმანეთი დაუშოციათ. მათი
მაღლებლებიც უთმანეთს დარევიან და იქვე სამოცი კაცი დახოცილა. ამ ღრო-
დან ორივე ციხე დაცარიელებულა და ნაწვრევად ქციულა.

შემდეგ მას მტკვრის ხეობით გზას ულობავდნენ გოგიას ცაშე, სალის ციხე, ახალდაბის ციხე, ქვიშეთის ციხე, სურამის ცეკვესა და წევრისისა და გორის ციხეები.

• გორის ციხე უკანასკნელ წინააღმდეგობას უწევდა თბილისისა კენენ მიმავალ მტერს. მისი დაცემის შემთხვევაში მტერს გზა ჰქონდა გახსნილი თბილისისა კენენ.

ეტყობა თურქების ბატონობის პერიოდში, მათი საოკუპაციო ჯარი პეტრეს ციხეში იდგა და როგორც გურჯისტანის ეკილაიეთის დიდ დავთრიდან ირკვევა, თურქებს იგი გადაუქცევიათ აღმინის-ტრაციულ ცენტრად, ე. წ. „პეტრეს ლიკა“-დ (ოლქი) რომელშიაც შედიოდა მთელი ბორჯომის ხეობა (გვ. 326—332).

პეტრეს ციხის ქვემო დავაკებაზე არის ნასოფლარი ყვერბილი, სადაც დარჩენილია ძველი ტაძრის ნანგრევი „წმ. გიორგი“. შიგ და გარეთ ეკლესიის კედლები მოპირკეთებულია უხეშად გათლილი კლდის ქვებით.

როგორც გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის აღწერიდან ჩანს ყვერბილი ყოფილი იგივე პეტრეს სოფელი: „სოფელი პეტრეს ციხის რაბათი, მეორე სახელი ყვერბილი“ (გვ. 330).

ფაფა. ეს ნასოფლარი ბორჯომიდან დაშორებულია ორი კილომეტრით. აქ დარჩენილია ქვიტკირით ნაგები საყდრის ნანგრევი, რომელსაც უშოდებენ ღვთისმშობელს.

თურქების ბატონობის პერიოდში სოფლის მოსახლეობა იქნდან აყრილი (იხ. გურჯისტანის დავთარი, გვ. 331).

ნუა მდებარეობდა დღევანდელ ბორჯომში, იქ, სადაც შავწყალი შეერთვის მტკვარს. ვახუშტის რუკაზედაც იგი ამავე ადგილის არის აღნიშნული, როგორც პატარა სოფელი.

დღეს, რასაკვირველია, ძნელია მისი აღგილმდებარეობის ზუსტი განსაზღვრა, მით უმეტეს, ქალაქის მშენებლობის პირობებში, როდესაც ყველაფერი სწრაფად იცვლება.

ჩვენ ვფიქრობთ ნუა უნდა ყოფილიყო იმ პლატოზე, სადაც იყო მტკვარზე ძველი ხიდი და საყარაულო კოშკი. ეს ძველი ნახიდარი ე. წ. ჩარხის წყლის¹ (რკინიგზის სადგურთან) ხიდიდან არის ორასი მეტრის დაშორებაზე. ხიდის მარჯვენა მხარეზე მტკვრის პირას ყოფილა მაღალი კოშკი, რომელიც ამ ხიდს ყარაულობდა. მაგრამ რკინიგზის ლიანდაგის გავანიერების დროს

¹ ჩარხისწყალს უშოდებენ იმ ადგილს, სადაც გუვარეთის წყალი შეერთვის მტკვარს (სადგურთან). ამ ადგილს გამართული ყოფილა სხვადასხვა ჩარხები. (სახელში, წყლის საქანი და სხვა).



ნახიდარი და კოშკიც ჩამონგრეულა. დღეს კოშკის ნასახი არ არის, ხიდის ბურჯის თავის ნაწილი შერჩენილია მტკვრის მარჯვენა მხარეს.

ეტყობა სოფ. ნუას მტკვარზე გადასასვლელი ხიდი ჰქონია საყარაულო კოშკით. ნახიდარიდან ორასი მეტრის დაშორებით, რკინიგზის სკოლის პირდაპირ, მტკვარს გალმა, მაღალ კლდეზე მიშენებულია სამაღავი, რომლის წინა მხარე ამოშენებულია ქვიტკირით. სამალავს აქვს ერთი კარი. ამ სამალავში, ალბად, ნუას მოსახლეობა იხილებოდა შიშიანობის დროს.

ბორჯომიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით, 4—5 კილომეტრის დაშორებით, ე.წ. საჯიხვევების მარცხენა მხარეს, კლდის წვერზე არის სალის ციხის ნანგრევი. ციხე ნაგებია ქვიტკირით, აქვს ვიწრო მოედანი. ციხე დაშლილია, ციხეს ჰქონია წყალსაცავი ორმოები, რომლებიც ქვით არის აგებული. ციხე ციცაბო კლდის ნაპირზეა აგებული და ძნელი მისადგომია. ეტყობა სალის ციხე ძველ ნუას იცავდა ჩრდილო-დასასვლეთის მხრიდან.

თურქების ბატონობის პერიოდში სოფ. ნუა აქედან აყრილა და გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში იგი აღნუსხულია, როგორც ცარიელი სოფელი (გვ. 328).

ბორჯომში, მტკვრის მარცხენა მხარეზე, მაღალ გორაკზე არის ე. წ. „გოგიას ციხე“. ეს ციხე ნაგებია კლდის ქვით, დარჩენილია მისი ერთი კვადრატული ფორმის კოშკი, დანარჩენი ნაწილები, მეორე კოშკი და გალავნის კედელი დაშლილია. კოშკის სიმაღლე უდრის 8 მეტრს. კოშკი ორ სართულიანია, აქვს ერთი კარი, კედლებში გამართულია სათოფურები. გაღმოცემით, ეს ციხე აუშენებია გოგია ავალიშვილს, ნაგებობის მიხედვით ციხე გვიანდელია, იგი უნდა იყოს აგებული მე-18 საუკუნეში. ეს ციხე ვახუშტის არა აქვს მოხსენებული და არც მის რუკაზეა აღნიშნული.

როგორც ვიცით, ძველიდანვე ეს ხეობა მტრებისაგან დასაცავად გადაეცა ავალიშვილებს და მათ თავდაცვის მიზნით ეს ციხე-სიმაგრე აუგიათ.

გოგიას ციხემ გარკვეული როლი შეასრულა 1828 წელს თურქებთან ბრძოლაში. გოგიას ციხეში იყო რუსის ჯარის საგუშავო, რომელიც დარაჯობდა იმ ვიწრო გზას, რომელზედაც მტერს უნდა გაევლო. ამიტომ თურქებმა განიზრახეს ამ საგუშავოს ხელში ჩაგდება.

გოგიას ციხის საგუშაგოზე ყოფილა ქართული მილიციის ორა
მოცი ქაცი, რომელსაც მეთაურობად მამაცი მხედარი ვეზნიშვილი
შვილი. გოგიას ციხეს მოადგა თურქების ლაშქარი. ქართული
ვეზნიშვილი ჩაიკეტნენ ციხეში და გმირულად შეებრძოლნენ მტერს.
ქართველებმა მოიგერიეს თურქების იერიშები და მტერი იძულეს
დიდი ზარალით უკანვე დაეხია. ეს იყო, ამბობს ისტორიკოსი
ვ. პოტტო, ქართული მილიციის სახელოვანი ბრძოლების ერთ-
ერთი ეპიზოდი 1828 წლის ომშიო¹.

თურქების განდევნის შემდეგ დაიწყო ძველი ნუას (ბორჯო-
მის) მიწა-წყლის დასახელება, განსაკუთრებით 1840-იან წლები-
დან, როდესაც მან სახელი გაითქვა თავისი მინერალური წყა-
როებით.

ამ დროიდან ნუას სახელიც შეეცვალა და ეწოდა ბორჯომი,
რომლის წარმოშობის შესახებ ზევით, ისტორიულ მიმოხილვაში,
აღვნიშნეთ.

ამავე დროს ბორჯომი იქცა მეფის ნაცვალთა საზაფხულო
რეზიდენციად. ბორჯომის მინერალური წყლების პოპულარობა თან-
დათანობით ვრცელდებოდა, იგი მაღა პირველხარისხოვან კუ-
რორტად გარდაიქცა. ამასთან დაკავშირებით იწყება მისი საქა-
ლაქო მშენებლობა და კეთილმოწყობა.

ახალდაბა მდებარეობს ნეძურას ხეობაში, რომელიც იქვე
მიერთვის მტკვარს. ეს მოზრდილი სოფელია, საღაც ცხოვრობენ
სხვადასხვა მხრიდან გაღმოსახლებული ქართველები.

აქ ბევრი ნამოსახლარი ადგილებია. ეტყობა ახალდაბა ძვე-
ლადაც მოზრდილი სოფელი ყოფილა და მას ამის გამო დაბასაც
უწოდებენ. ვახუშტიც მას უწოდებს დაბას და ასე აგვიწერს:
„არს ახალდაბა, მცირე ქალაქი, მტკვრის იმერ-ამიერ, მოსახლენი
ქართველნი და ურიანი. აქა არს ხიდი მტკიცე. ახალდაბის სამხ-
რით არს ციხე მაღალსა კლდესა ზედა, დიდნაშენი და მაგარი.
ახალდაბას ქვევით მტკვარს მიერთვის ჩრდილოდამ ხევი ნეძვი-
სა, გამოდის ამას და მთას იქითს შუას მთას“ (გვ. 89).

აქედან ჩანს, რომ ახალდაბა ყოფილა პატარა ქალაქი, რო-
მელსაც ჰქონია თავისი ხიდი და ციხე-სიმაგრე. ამასთანავე ვაჭ-
რობის წარმოების მიზნით აქ დასახლებული ყოფილან ებრაელე-
ბიც, რომლებსაც ექნებოდათ თავიანთ სავაჭროებიც.

¹ В. Потто, „Боржомские легенды“, Иллюстрированное приложение газ. Тифлисский листок, 1899 г. № 12.

მით უმეტეს ამას ხელს უწყობდა ახალდაბის მდებარეობის მთავარ გზაზე, რომელიც მტკვრის ხეობით სამხრეთიდან მდინარეების თბილისისაკენ მიიმართებოდა. ამას მოწმობენ აქ დარჩენილი ნანგრევებიც.

ახალდაბაში მტკვრის პირას ახლაც ამაყად დგას საყარაულო მრგვალი კოშკი, რომელიც იცავდა მტკვარზე გადებულ ქვიტკირის ხიდს. ხიდი თაღიანია, ქვიტკირით ნაგები ყოფილა, მისი ბურჯების ნაშილები ახლაც მოჩანს. ხიდის თავის დასავლეთის მხარე დარჩენილია იძლევა ნათელ სურათს იმდროინდელი მშენებლობის ტექნიკის მაღალ დონეზე.

კოშკი მრგვალია და ოთხსართულიანი, ნაგებია რიყის ქვითა და დუღაბით. ფორმით ეს კოშკი სიმეტრიულია და ლამაზი. გარშემო კედლებში გამართულია სათოფურები, დასავლეთით მეორე სართულს აქვს ერთი კარი. კოშკს თავი აქვს მორღვეული. შიგ-სართულებში გამართულია ბუხარი და თახჩები.

როგორც აღვნიშნეთ, ამ კოშკის დანიშნულება იყო ხიდის უშიშროების დაცვა, ხიდზე გამვლელთა მეთვალყურეობა და შე-მოწმება.

კოშკის აღმოსავლეთის მხარეზე ძველი ნასახლარია, კარგად მოჩანს ჩაქცეული სახლების საძირკველი, რომელიც ქვიტკირით არის ნაგები.

შიგ სოფელში ორი ძველი ტაძარია: ერთია „ღვთისმშობელი“, მეორე კი „წმ. გიორგი“. ორივე ტაძარი გეგმით ერთნავიანია და კლდის ქვითა და დუღაბით ნაგებია.

ამ ორ ეკლესიას შუა არის კუთხედი ფორმის ძველი ნაგებობა; დარჩენილია მისი ქვემო სართული. მას დასავლეთის კედელში აქვს თიხის მილი. ამბობენ, რომ ეს იყო წყალსაცავი. შენობა, რომელშიც წყალი შედიოდა მილებითო. მას აგრეთვე უკავშირებენ სოფლის თავზე მდგარ დიდ ციხეს, საიდანაც წყალი აქ გადმოდიოდა.

ახალდაბის ზემოთ ძველი ციხეა, რომელსაც უშოდებენ „ციხის გვერდს“. ახალდაბის აღწერაში ეს ციხე ეა ხუშტირისაც აქვს დასახელებული, მხოლოდ არა აქვს აღნიშნული მისი სახელწოდება. ციხე აშენებულია მთის მაღალ წევრზე და დაფარულია ტყით. მას ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩამოუდის ნეძვის წყალი.

ამ ბუნებრივ კლდეზე აგებულია ციხის კედლები და მისი ლობურები. ციხე ნაწილობრივად დაშლილია. იგი ნაგებია კვადრა-ტული ფორმის კლდის ქვით და დუღაბით. სათოფურები და ჩარ-

დახები არა აქვს. ეტყობი, ეს ძველი ციხე თოფის შემოღების შემდეგ არ ყოფილა გადაკეთებული.

ციხე ძნელი მისადგომია, ერთადერთი გზა აღის ჩატარებულის მხრიდან, სადაც არის შესასვლელი კარი საკედურებით, რომელშიაც უყრიდნენ ურდულს. ციხე დანგრეულია გორის მიწის-ძვრის დროს (1920 წ.). გადარჩენილია, მხოლოდ, მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარე.

ციხეს შიგ პქნია სხვადასხვა სათავსოები, საყარაულო, საცხოვრებელი დარბაზები და სხვა.

ციხის ეზო გრძელი და ვიწროა, დარჩენილი კედლის სიმაღლე აღწევს ათ მეტრს.

ეს ციხე იცავდა ნეძვისა და მტკვრის ხეობას, რომელიც მას უვლის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ციხეს ქვემო გალავანიც პქნია, რომელიც მას იცავდა სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან. გალავნის ნაწილი დაშლილია. იგი ნაგებია კლდის ლოდებით და დუღაბით. კარგად გორის ჩაქცეული სათავსოების საძირკველი. დასავლეთის კუთხეში არის ქვიტკირით ამოშენებული ნახევრად დაშლილი დიდი ხარო.

თუ მტერი გადმოლახავდა ახალდაბის ხიდს, რომელსაც მაგარი კოშკი იცავდა, მაშინ მტერი მიღიოდა ამ ციხის ასალებად, სადაც გამაგრებული იყო აქაური მოსახლეობა.

ახალდაბის ციხე თავისი გეგმითა და ნაგებობის ტექნიკის მხრივ ემსგავსება ტაძრისის ე. წ. გურჯისხევის ციხეს, დაუნდა იყოს აგებული მე-8—9 საუკუნეებში.

ერთი სიტყვით, ახალდაბა აღრინდელ ფეოდალურ ხანაში კარგად გამართული პატარა ქალაქი ყოფილია. იგი, როგორც ზემოსა და შუა ქართლის საღვარზე მდებარე, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის თავდაცვის საქმეში. მაგალითად, როდესაც ულუდავით V აუჯანყდა მონღოლებს, იგი გაიხიზა სამცხეში. დავით მეფის ხელში ჩასაგდებად მონღოლთა ლაშქარით სამცხისაკენ გაემართა არღუნი, რომელსაც 1261 წ. ახალდაბასთან შეებრძოლა სამცხის ათაბაგი სარგის ჯაყელი. მართალია, ამ ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ, მაგრამ დიდი ზარალი მიაყენეს მონღოლებს და არღუნმა ვერ შეძლო დავით მეფის ხელში ჩაგდება¹.

მონღოლთა ბატონობას მოჰყვა ამ მხარის დაცემა-დაქვეითება. მონღოლები თურქებმა შეცვალეს, რომლებმაც ეს მხარე მთლად

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, თბ., 1941 წ.

გაანადგურეს. ახალდაბის მოსახლეობა აქედან აყრილა და, როგორც გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთრიილან ჩანს, აშენდებული ცარიელებულა (გვ. 330). თურქების აქედან განდევნის შემდეგ ახალდაბა გადაუკითხ ხაზინისათვის და მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ხაზინა შეღავათიან პირობებში გლეხებს აქ დასახლების ნებას აძლევდა. დღეს ახალდაბა დიდი და კეთილმოწყობილი სოფელია და კარგ აგარაკადაც ითვლება.

ტაშისკარი. ვახუშტის აღწერით მეოთხე სადროშო თავდებოდა ტაშისკარით, რომელიც წარმოადგენდა ძნელად გასასვლელ ვიწრო კარს.

ტაშისკარი საყურადღებოა, როგორც სასაზღვრო გეოგრაფიული პუნქტი, რომელიც მდებარეობდა ზემო და შიდა ქართლს შორის.

ძველი ქართველი მემატიანებიც ტაშისკარს ასახელებენ, როგორც სასაზღვრო გეოგრაფიულ ადგილს. მაგალითად, ისტორიკოსი ლეონტი მროველი მოგვითხრობს: „უფლოს ეპყრა ქვეყანა არაგვითგან და ტფილისითგან ვიდრე ტაშისკარამდე“-ო¹. მისივე თქმით: „არმაზითგან ვიდრე ტაშისკართამდე ეწოდა ამას ქვეყანასა ზენას სოფლისა, რომელსა აწ ჰქვიან შიდა-ქართლი“-ო².

ისტორიკოსი ჯუანშერიც ასევე მოგვითხრობს: „პრევა (ვახტანგმა) ძესა თვისა დაჩის ნაწილად ძმათა შენთა მიმიცემია ტაშისკარითგან და წუნდითგან ვიდრე საბერძნეთამდე-ო“ (იქვე გვ. 24).

ვახუშტისაც ასეთივე შნიშვნელობით აქვს მოხსენებული ტაშისკარი (იხ. მისი გეოგრაფია, გვ. 51, 78, 83, 84).

ტაშისკარი წარმოადგენდა ბუნებრივ სიმაგრეს, მას მარცხნივ მხარეზე იცავდა მაღალი კლდე, მარჯვნივ ჩაუდიოდა მტკვარი, შუაში იყო ვიწრო გასასვლელი გზა. ამ კლდეზე მდგარა ციხე-გალავანი მაღალი კოშკი, რომელიც იცავდა ამ ვიწრო გასასვლელს. ეს ვიწრო კარი ყოფილა სოფ. სარმანიშვილის პირისპირ. ეს სოფელი ახლაც არის მტკვრის პირას ტაშისკარის გაღმა.

ტაშისკარის გზასა და სიმაგრეს ვახუშტი ასე აღწერს: „ტაშის-კარის სამხრით ჩამოვალს დასავლეთიდამ მთა მახვილოს ცხვირ-ცხვირად, და აღმოსავლიდამ ყერძენის მთის წვერი, და

¹ ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხშირშვილის რედაქციით, ტ. I, თბილისი, 1955 წ.. გვ. 10.

² იქვე, გვ. 10.

მოავიშროებს მტკვარს კლდითა. აქ, მოვიშროებულსა — შინა, ასე/განსავალი კარი და კოშკი მას ზედა, ქართლიდამ ხეობასა/შინა/ ხავალი. ამის მიერ ეწოდა ტაშის-კარი (ესე არს ქვის-კარი) და ამის პირისპირ, სამხრიდამ, ერთვის მტკვარს სამანიშვილის ხევი"-ო (გვ. 83).

ეს ვიშრო გასასვლელი კარი ძველად საბაჟოს როლსაც ას-რულებდა და როგორც ჩვენს ისტორიულ მიმოხილვაში აღვნიშნეთ ქართლის მეფეებს ტაშისკარის საბაჟო გადაუციათ აბაშიძის გვარისათვის.

ამ მხარეში თურქების ბატონობის პერიოდში ტაშისკარი იყო თურქეთ — საქართველოს შორის სასაზღვრო ზონა.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც არ დაუკარგავს ტაშისკარს თავისი მნიშვნელობა.

ლექთა აბრაგების წინააღმდეგ მეფის მთავრობა იძულებული იყო ტაშისკარი გაემაგრებინა და აქ შეექმნა ე. წ. „ბორჯომის ბლოკჰაუზი“. აქ იდგა ქართული მილიცია და რუსის ჯარის ნაწილები, რომლებიც იცავდნენ შუა ქართლს ლექთა თავ-დასხმისაგან.


დღეს ამ ვიშრო გასასვლელი კარის ნასახიც აღარ არის. გზა გაფართოებულია და მოასფალტებული. აქვე აუგიათ დიდი ხიდი, რომელზედაც გადის რკინიგზა. გზის გაფართოებისას და ხიდის მშენებლობის დროს კლდე ჩამოუნგრევიათ, კოშკიც დანგრეულა და ქვები გამოუყენებიათ ხიდის ასაგებად.

შიგ სოფელ ტაშისკარში ერთი მოედანია, სადაც დგას წაბლის ხეები. შუაშია ერთი დიდი წაბლის ხე, რომლის ქვეშ ყირი-მელ თაორებზე გამარჯვების შემდეგ გიორგი სააკაძეს ვითომ დაუსვენია და ნაღიმიც გადაუხდია. ასეთია გადმოცემა.

მატერიალური კულტურის ძეგლებს მიეკუთვნება აგრეთვე აქაური საფლავის ქვები, რომლებიც იძლევიან მდიდარ მასალას ხალხური შემოქმედების შესწავლა-გაცნობისათვის.

საფლავის ქვები ნარევია. ზოგი უბრალოა, მაგრამ ბევრია კარგი ნახელავიც, განსაკუთრებით მატურები. სადა ლოდები, როგორც გამოირკვა ადგილობრივია, კარგები კი შემოტანილია გორის მხრიდან (ატენი, გარდატენი). ურევია ჯავახეთიდან შეოზიდულიც.


საფლავის ლოდებზე გამოსახულია ადამიანის ფიგურა დამახასიათებელი პოზითა და პროფესიის გამომსახველი იარაღით თუ საგნით. მათზე თანამედროებაც კარგად არის ასახული, მხოლოდ



სურ. 6. საფლავის მატური.

ჯვრისა, კელეპტრისა და ანგელოზის ნაცვლად გამოსახულია ხუთ-ქიმიანი ვარსკვლავი და ჩაქუჩ-ნამგალი.

აქაური საფლავის ქვების დამახასიათებელია შეკაზმული ცხენი, ყოჩი, მტრედები და განსაკუთრებით თევზები.



სურ. 7. საფლავის ქვა.

ამ მხრივ საყურადღებოა ძველი საფლავის ქვა წითელი ჯვრის საყდრის ეზოში (გუჯარეთი). იგი წარმოადგენს ცხენის ტანის

მეორე საფლავის ქვა, ომელიც მნახველის ყურადღებას იქცევს, არის ყვიბისში, წმ. გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე. ამ ლოდზე გამოსახულია მამაკაცი ქართულ ტანსაცმელში მთელი ტანით. იგი შესრულებულია მაღალი ხელოვნებით. გარშემო აქვს ვაზის არშია, მარცხენა მხარეზე ამოკვეთილია ცხვრის ბარელიეფი. იგი ძველია, გარდაცვალების თარიღი აზის 1825 წ., მაგრამ კარგად არის შენახული. აწერია: „ეპა საწუთო დავტოვე მე, ალექსი გელაშვილმა, ოცდაათი წლის სიცოცხლით გაუმაძღარმა. ვიყავი მოყვარული მამისა და ნათესავის“. წარწერა ამოკვეთილია ლამაზი მხედრული ხელით.

* * *

ბორჯომის ხეობას კურორტებისა და სამკურნალო ადგილების რაოდენობით პირველი ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირში¹. აქ მრავალი სამკურნალო თვისებების მქონე მინერალური წყაროა. მაგრამ მათ შორის თვითდანვე სახელი მოიხვეჭა ბორჯომის ნახშირმევა-ნატროუმიანმა წყლებმა, რომლებსაც ძელთაგანვე სამკურნალოდ იყენებდა ადგილობრივი მოსახლეობა. ამას მოწმობს ინჟინერი მ. პონშინის მიერ 1913 წელს აქვე აღმოჩენილი ქვისაგან გაკეთებული აბაზანის რამდენიმე ნაშთი, რომლებსაც შერჩენილი ჰქონდა იატაკისა და კედლის ნაწილები².

მე-19 საუკუნის ოცდაათიან წლებიდან იწყება ხეობის აღგენა-მოშენება, საფუძველი ჩაეყარა ბორჯომის საკურორტო მშენებლობას და 1854 წლიდან დაიწყო ბორჯომიდან მინერალური წყლის გატანა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბორჯომი გადაიქცა ნამდვილ სახალხო კურორტად, ყოფილი მდიდრების სასახლეები მშრომელი ხალხის დასასვენებელ სახლებად და სანატორიუმებად გადაკეთდა.

¹ ბორჯომის კურორტების გასაცნობად არსებობს საქმაო ლიტერატურა: 6. ყიფშიძე — ბორჯომი და მისი ხეობა, თბ., 1954 წ.;

² ა. ლაზარი და ციცი შვილი — ბორჯომის რაიონის საკურორტო რესურსები, თბ., 1955 წ.;

М. Куприс, Минеральные источники Боржоми, Москва, 1906 г., И. Скворцов, Боржоми и его ближайшие окрестности, 1895 г., и др.

² Описание работ барражу, Екатерининского источника в Борджоми, произведен. горн. инженером А. М. Коишвилем в 1912—13 г. Грозный, 1913 г., стр. 1—14.

ბორჯომის სიმდიდრეს შეადგენს მინერალური წყარო, რომელიც მელმაც დიდი სახელი გაითქვა მსოფლიოში. მას იყენებენ სუსტიფუზაციას რესად სასმელად, აგრეთვე აბაზინებისათვის. იგი ცნობილია, როგორც კარგი საშუალება კუჭ-ნაწლავით დაავადებულთა სამკურნალოდ.

ბორჯომის კლიმატური პირობები — ჰაერის ტემპერატურა, ტენიანობა და მზის რადიაცია განსაკუთრებით ხელშემწყობია ჯანმრთელობისათვის.

პარტია და მთაერობა დიდ ყურადღებას აქცევენ ბორჯომის კუთილმოწყობის საქმეს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში დაიწყო კურორტების გეგმიანი მშენებლობა.

საქართველოს კურორტების მშენებლობა — კეთილმოწყობის საქმეში დაცი მნიშვნელობა ჰქონდა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიულ დადგენილებას, რომელშიაც მოცემულია კურორტების ზრდისა და განვითარების კონკრეტული გეგმა. ამ დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ, ბორჯომში აშენდა დიდი სასტუმრო „ბორჯომი“, კურორტზე გაყვანილია წყალსადენი, გაფართოებულია და გამწვანებული ქუჩები.

უკანასკნელ ხანებში ამუშავდა ახალი პიდროელექტროსადგური — ჩიოთახევჭესი, აშენდა ბორჯომ-ბალის ახალი სადგური, მოწყობის მტკვრის სანაპირო და სხვ. ყოველწლიურად შენდება კეთილმოწყობილი სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები. სანატორიუმები აღმურვილია კლინიკური და ბიოქიმიური ლაბორატორიებით, სამკურნალო ფიზკულტურისა და ფიზიო-თერაპიის აბაზინებით, რენტგენისა და კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიებით და სხვ.

საკურორტო მშენებლობასთან ერთად საბჭოთა საქართველოში წარმოიშვა ახალი მეცნიერული დისკიპლინა-კურორტოლოგია, რომლის მიზანია კურორტებისა და სამკურნალო ადგილების მეცნიერული შესწავლა-გამოყვლევა.

ბორჯომის წყლის წარმოება დაკავშირებულია შეშის ქარხის მუშაობასთან. 1897 წელს აგებული ძეველი შეშის ქარხანა იძლეოდა მცირე პროდუქციას, იგი კუსტარულად იყო მოწყობილი და მუშებიც მძიმე პირობებში იმყოფებოდნენ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აქ აშენდა შეშის ახალი ქარხანა, სადაც ყველა პროცესი მექანიზებულია და წარმოებაც მნიშვნელოვ-

ნადაა გაფართოებული. მაგალითად, 1951 წელს ქარხანაში გეგმის გადაჭარბებით 1.500.000 ბოთლი გამოუშვა. შუშის ქარხანის შემცირებული შაობასთან დამკიდებულია ბორჯომის წყლის ჩამომსხმელი ქარხნის მუშაობაც. საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაუმჯობესდა ჩამომსხმელი ქარხნის ტექნიკური მოწყობილობა და მუშაობის მექანიზაცია. ამან ხელი შეუწყო ბორჯომის წყლის დიდი რაოდენობით დამზადებას. 1951 წელს გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულ იქნა 2.500,000 ბოთლი მინერალური წყალი.

უახლოეს წლებისათვის დასახულია ღონისძიებანი კურორტ ბორჯომის გაფართოებისა და კეთილმოწყობისათვის. აიგება ხუთი ახალი დიდი სანატორიუმი, პანსიონატი, ახალი სააბაზანო შენობა, საკურორტო პოლიკნიკა, საავადმყოფო და სხვ.

გარდა კურორტ ბორჯომისა, ამ ხეობაში არსებობს მრავალი კლიმატური სადგურები და სამკურნალო ადგილი, რომელებიც სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარეობენ და ცნობილი არიან სხვადასხვა მინერალური წყლებით. ასეთია: წალვერი, ცემი, ლიბანი, ბაკურიანი, ახალდაბა, ციხისჯვარი და სხვ. მათ შორის თავისი კლიმატური პირობებით და სამკურნალო თვისებებით ცნობილია წალვერი, სადაც ამაღლებულ ფერდობზე, წიწვიან ტყეში აგებულია ბავშვთა სანატორიუმი. წალვერს თავისი მდებარეობით და კლიმატური პირობებით არ ჩამუვარდება ცნობილი კურორტი — ცემი. აქ თრი სანატორიუმია: ერთი ბავშვთათვის, ხოლო მეორე — სრულასაკოვანთათვის. ზაფხულობით თავს იყრის მრავალი დამსვენებელი. აქვეა პიონერთა ბანაკები, საბავშვო ბაღები და ბაგები.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ბაკურიანი, რომელიც მაღალი მთის კლიმატური კურორტია. ბაკურიანში ზაფხულობით გრილა, მისი სუფთა ჰაერი ფიცვის სურნელებითაა ვაჟღენთილი. აქ არის ბავშვთა სანატორიუმები და პიონერთა ბანაკები. გარდა ამისა ბაკურიანი საბჭოთა კავშირში ცნობილია აგრეთვე როგორც საუკეთესო სათხილამურო სპორტული ბაზა.

ბაკურიანის კლიმატური პირობები ხელსაყრელია ჯიშიანი მელიების გასამრავლებლად. ამ მიზნით 1932 წელს აქ მოწყონაკრძალი მეურნეობა, რომელიც 100 ჰექტარ ფართობზეა გადაკიმული.

მელის ჯიშის გაუმჯობესებაში ბაკურიანის მეურნეობაში მნიშვნელოვანი წარმატებებს მიაღწია. მიღებულია მელის საუკეთესო ჯიში — თეთრი მელა, რაც დიდ იშვიათობას წარმოადგენს. ამას „ბაკურიანის თეთრი მელა“ ეწოდა.

ყოველივე ამასთან ერთად ძირფესვიანად შეიცვალა ბორჯო-
მის ხეობის მოსახლეობის ძველი ყოფა-ცხოვრება და შრომა-საქ-
მიანობა.

რევოლუციამდე მთელი აქაური მიწა-წყალი ეკუთხნოდა ორ მებატონებს: ციციშვილებსა და დიდ მთავარს ნიკ. მიხ-ძე რომანოვს. გუჯარეთის ხეობას მაჭარწყლამდე ფლობდა ციციშვილის საგვა- რეულო, მაჭარწყლილან ახალდაბამდე კი ნიკ. მიხ. რომანოვი. გლე- ხობა მათ უხდიდა ყოველწლიურ გადასახალს. ე. შ. „მახტას-“.

სახნავ-სათესი მიწები აქ მცირე იყო, გლეხობა მას ამჟამადებ-
და პრიმიტიული იარაღებით და წესებით. ჭირნახულიც მცირე
მოდიოდა, მოსავალი ხალხს არ ყოფნიდა.

მებატონები არ ზრუნავდნენ სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებაზე, გლეხები ხის კავით ჩიჩქნიდნენ მიწას. ჭირნახულის მოსავლიანობა მხოლოდ ამინდზე იყო დამოკიდებული.

გვალვის დროს აწყობდნენ „ლაზარეს“, გარდა ამისა, გუ-
თანს მდინარე წყალში გააცურებდნენ და ზეცას შესთხოვდნენ
წყიმას. მაგრამ წყიმა სეტყვითა და ჭიქა-ქუჩილით რომ არ მო-
სულიყო, ეველრებოდნენ ელიას და მას ციკანსაც დაუკლავდნენ.

მოსახლეობა მისდევდა აგრეთვე მეცხოველეობას, რასაც ხელს უწყობდა კარგი საძოვრები. მაგრამ მეურნეობის ეს დარგიც ძალზე ჩამორჩენილი იყო. პირუტყვს უვლიდნენ პრიმიტიულად.

გუჯარეთის ხეობაში პირუტყვის მფარველობას შესთხოვდნენ „ხუსურათს“, და ვისაც მისი სენი შეეყრებოდა, მას არაფერი ეშველებოდა და კვდებოდა.

ბორჯომის ხეობის მდიდარი ტყე მთლიანად მებატონეთა განკარგულებაში იყო. გლეხებს უფლება არ ჰქონდათ -მით ესარგებლათ. ისინი იძულებული იყვნენ მებატონეებისაგან მაღალ ფასებში შეისყიდათ ხე-ტყის ძასალა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ძირფესვიანად შეიკვალა კხოვრება, გაჩაღდა საკოლმიურნეო მშენებლობა.

ბორჯომის ხეობის მეურნეობის ძირითადი და წამყვანი დარგია მეცხველეობა, ნაწილობრივ ეშვეიან მემინდვრეობასაც. უმთავრესად მოპყავთ პური (დიკა) და ქერი, აგრეთვე კართოფილი. მოშინავე კოლმეურნეობებად ითვლებიან: გუჯარეთის, ციხისჯვრის, გვერდისუბნისა და დიდი მიტარბის, სადაც სამუშაო მექანიზებულია. მიწის დამუშავება წარმოებს ტრაქტორებით, ხოლო

მოსავალს იღებენ კომბაინებით. კოლმეურნეობები უზრუნველყოფილი არიან გამოცდილი აგრონომებით. ყოველივე ამის შედეგად მომავალში ველშილიურად იზრდება მოსავლიანობა. მნიშვნელოვნად აძალლდა კოლმეურნე გლეხობის მატერიალურ-კულტურული დონე. მსხვილ-რქოსან პირუტყვათან ერთად მნიშვნელოვან რაოდენობითაა ცხვარი, თხა და სხვ. მესაქონლეობის განვითარებას, ხელს უწყობს კარგი საძოვრები: ორი, ციხისჯვარი, ტაბაწყურ-ნარიანი.

შეცხოველეობის მოწინავე კოლმეურნეობებია: ბაკურიანი, ტაძრისი, ჭობისხევი და ციხისჯვარი. ფერმასთან მოწყობილია ვეტერინალური პუნქტი, სადაც ვეტექიმები და ზოოტექნიკოსები ყოველმხრივ უწყობენ ხელს პირუტყვის მოშენებას და ჯიშის გაუშვილესებას. ფერმებში, რომლებიც ტექნიკურად კარგადაა მოწყობილი, ამზადებენ კარგი ხარისხის რძის ნაწარმს (ყველი, ერბო, კარაქი), აქვთ სეპარატორები და ელექტრო-საწველი აპარატები. ამ მხრივ აღსანიშნავია ბაკურიანისა და ციხისჯვრის ფერმები.

ბორჯომის რაიონის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხეტყის წარმოებას. ამას ხელს უწყობს ტყის დიდი მასივები, სადაც უხვად იზრდება ფიჭვი, ნაძვი და წიფელი. ბორჯომის სატყეო მეურნეობა გეგმიანად აწარმოებს ტყის მოვლა-მოშენების საქმეს და ამავე დროს ეწევა მის რაციონალურ გამოყენებას. არსებობს ტყის სამეთვალყურო და დასაცავი 9 უბანი. ბორჯომის ხე-ტყეს იყენებენ უმთავრესად საშენ მასალად და ავეჯეულობის დასამზადებლად.

რაიონის ცენტრში, ბორჯომში, არის ტექნიკურად კარგად მოწყობილი მინერალური წყლების ჩამოსასხმელი ორი ქარხანა.

ყველაფერი ეს ხელს უწყობს რაიონის მოსახლეობის ეკონომიურ წინსვლას, რაც აშკარად ვლინდება ყოფა-ცხოვრებაში: სოფ-ლები ქალაქურ ყაიდაზეა დაგევმილი და მოწყობილი. აღარაა ბანიანი და ლობე-ყორიანი სახლები; სახლების უმეტესობა ორსართულიანია. ქუჩები და კარმიდამო კეთილმოწყობილია, მოძრაობენ ავტო-მანქანები. ბევრ კოლმეურნეს საკუთარი ავტომანქანა აქვს. კოლმეურნეთა ცხოვრება შეძლებული გახდა.

რაიონი ერთ-ერთ მოწინავედ ითვლება სწავლა-განათლების მჭრივ. თუ რევოლუციამდე აქ ორიოდე სკოლა იყო და ისიც ბორჯომში, ახლა მრავალია: მათ შორის 14 საშუალო, 8 არასრული საშუალო და 23 დაწყებითი სკოლაა. თითქმის ყველა სოფელშია სამკითხველო და კლუბი.

დიდი ყურადღება ექცევა მშრომელთა ჯანმრთელობას. რაიონში საქმაო რაოდენობითაა საექიმო პუნქტები. თუ წინათ აქა-



ური გლეხობა სამკურნალოდ ხატებს, ექიმბაშებსა და მკეფებაშებს
მიმართავდა, ეხლა ეს დავიწყებულია, ამჟამად მომქმედია კურნეული
მოწყობილი ოთხი საავადმყოფო. ექვსი საექიმო პუნქტი და სა-
საკოლმეურნეო სამშობიარო სახლები ზალალკვალიფიციური სა-
მედიცინო მუშაკებითა და სამკურნალო საშუალებებით მომსახუ-
რეობას უწევს რაიონის მთელ მოსახლეობას.

ამგვარად, პარტიისა და მთავრობის ღონისძიებათა შედეგად
ყოველწლიურად იზრდება ბორჯომის რაიონის მოსახლეობის მა-
ტერიალური და კულტურული კეთილდღეობა.



ჩელაქეტორი ს. კაქაბაძე
 შხატგარი ჯ. კავლაშვილი
 ტემრელაქეტორი ა. კოკიძე
 კორეგეტორი ე. პაპუაშვილი

გადაეცა ჭარბოვბას 15/XI-56 წ. ბეჭონერილია
 დასაბეჭდად 27/II-57 წ. უმ 00031 ანაწყობის
 ზომა 6 x 10. ქალალდის ზომა 60 x 92. ნაბეჭდი
 თაბაზი 4 საალრ.-საგამომც. თაბაზი 3.51
 ტირაჟი 10.000. შეკვ. № 1902. ფასი 1 მან.

სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-
 ტის გამომცემლობის სტამბა. უნივერსიტეტის ქ. № 1

346/208



Проф. Сергей Иосифович Макалатия

Боржомское ущелье

(На грузинском языке)

Госиздат Груз. ССР

Тбилиси
1957